F 75/2 №13837

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ.
№ 4. მე-2 სართული

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 100.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2.500,000 მ.

№ 90 კვირა, 22 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 90

დღიური

ინგლისის მთავრობის ჯარმა ხელთ იგდო ირლანდიის აჯანყებულთა ერთი მეთაურთაგანი დანბრინი.

ამერიკის მუშებმა რევოლიუციონერთა დახმარების საერთაშორისო საზოგადოებას გადასცეს 4,300 დოლარი გერმანიის რევოლიუციონერთა შვილებს შორის გასანაწილებლად.

რურის ოლქის მუშებთა და პოლიციის შორის მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება. საოკუპაციო ჯარი ხმარობდა იარაღს. რამდენ მე ადგილას მოხდა მაღაზიების დარბევა.

საოკუპაციო ჯარმა რეინლანდიიდან გადაასახლა 88,800 გერმანელი.

საქართველოს პარტიულ საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორაში
(ყოფ. გაზტრესტი)
(რუსთაველის პრ. № 24, მე-2-ე სართული).
მიიღება ხელის მოწერა მოსკოვის გაზეთებზე—ადგილებზე გადაგზავნით.
ხელის მოწერა მიიღება:
მაისისათვის
5—5

ორშაბათს, 23 აპრილს, საღამოს 5 საათზე,
სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახლი)
შესდგება
თბილისის საბჭოს კომფრაქციის სხდომა
ამავე რიცხვს ამავე შენობაში საღამოს 7 საათზე,
შესდგება
საბჭოს პლენუმის სხდომა

საკითხები: 1) საბინაო პოლიტიკა; 2) მოხსენება აღმასკომის პრეზიდიუმის მუშაობის და მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ; 3) მოხსენება კომზაგეის შესახებ; 4) მიმდინარე საკითხები.

1—1 პრეზიდიუმი.

პარტია და სამეურნეო ორგანოები

პარტია, არ უნდა ივიწყებდეს რა ერთი წუთითაც თავის მუდმივ რევოლიუციონურ-აღმზრდელობითი ამოცანებს, ანგარიში უნდა უწევდეს იმას, რომ რევოლიუციის ეხლანდელ სამშენებლო სამეურნეო პერიოდში სამეურნეო ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობა საბჭოთა აღმშენებლობის ძირითად პუნქტებში წარმოადგენს და უნდა წარმოადგენდეს პარტიის მუშაობის უმთავრეს შინაარს. პარტია მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას, თუ მთელი მისი სამეურნეო გამოცდილება გაიზრდება იმ სამეურნეო ამოცანების ზრდასა და გართულებასთან ერთად, რომელიც წამოყენებულია საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

ამისათვის არა მარტო სწორი განაწილება პარტიულ მუშაკებისა, არამედ აგრეთვე თვით სამეურნეო ორგანოების მთავარი მუშაობის ხელმძღვანელობა წარმოადგენს პარტიის მოვალეობას განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, რომელიც ქმნის მეურნეების საკადრო შემადგენლობის ნაწილის შინაგანი გადაგვარების და ეკონომიურ აღმშენებლობაში პროლეტარული ხაზის გადამახინჯების საფრთხეს.

დღევანდელ პირობებში კონკრეტიულ საკითხებში, სამეურნეო ორგანოებისათვის პარტიულ ორგანიზაციების მიერ საჭირო დირექტივების მიცემასთან ერთად, აუცილებლად უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობას სამეურნეო ორგანოებზე მიეცეს ფართო და ყოველმხრივი გეგმაშეწონილი ხასიათი, რითაც შემცირებული უნდა იქნეს უშუალო ადმინისტრატიული ჩარევის შემთხვევები მიმდინარე მუშაობის კერძო საკითხებში.

პარტიის ხელმძღვანელობა იმდენად უფრო სისრულით იქნება უზრუნველყოფილი, რამდენადაც მეტი სისწორით იწარმოებს თვით სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრატიული და სამეურნეო მუშაობა იმ გეგმიანი ამოცანების შესრულებისათვის, რომელთაც აყენებს პარტია.

პარტიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს ყოველმხრივი დახმარება ისეთი წესისათვის, რომლის დროსაც კომპეტენტურ სამეურნეო ორგანოებს ექნებათ არა მარტო ფორმალური უფლება, არამედ აგრეთვე ფაქტიური შესაძლებლობა სამეურნეო მუშაკების თანდათანობით აღზრდისა და მათი დაწინაურებისათვის, მათ მიერ გამოცდილების შეძენისა და თავიანთი თვისების განვითარების მიხედვით.

ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მუშაკების სისტემატიური შერჩევა მათი სამეურნეო გამოცდილების, საქმიანობის და ცოდნის მიხედვით და აგრეთვე, თუ დაცული იქნება სამეურნეო ორგანოების შიგნით დისციპლინა და სამუშაოს ცალკე დარგების და ამ დარგების სათავეში მდგომი მუშაკების ურთიერთობის სათანადო სისტემა.

თავის მხრივ მთელი პარტია მთლიანად და ყველა მისი ორგანიზაციები, ეხლანდელ მომენტში, მეურნეებზე დაკისრებული მუშაობის დიდი მნიშვნელობისა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გამო, ყოველმხრივ დახმარებას უნდა უწევდენ მათ და სისტემატიურად უნდა ზრუნავდენ ისეთი პირობების შექმნაზე, რომლის დროსაც შეუძლებელი იქნება მეურნეობაში მომუშავე ამხანაგების ცალკე წრეების ჩამოშორება პარტიისაგან.

ლ. ტროცკი.

სასოფლო სამეურნეო ფრონტზე

ა. წ. შვიდ აპრილს (25 მარტს) შესრულდა სრული ორი წელიწადი საქართველოში „თესვის კამპანიის" შემოღებიდან.

უკვე ორი წელიწადი მუშათა და გლეხთა ხელისუფლება დამკვრელი წესით ამაგრებს სასოფლო-სამეურნეო ფრონტს თავის პატარა საქართველოს რესპუბლიკაში.

ჩვენ მკითხველებისათვის საინტერესოა იცოდენ, რა მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ ამ ფრონტზე მიწის მუშაკებისაგან, და რას წარმოადგენს ეს ფრონტი ამ ჟამად ორი წლის მასზე ზრუნვის შემდეგ.

ნორმალურ დროში საქართველოში (აჭარის და აფხაზეთის გარდა) გლეხთა საკუთარი ძალებით ყოველწლიურად ითესებოდა მარცვლეულით დაახლოებით 600.000 დესეტინა. 1921 წლის აპრილისათვის აშკარად გამოირკვა, რომ გლეხები საკუთარი საშუალებებით დასთესავენ არა უმეტეს 390—400 ათას დესეტინას. საბჭოთა ხელისუფლებამ ამას ყურადღება მიაქცია. მის მიერ დაარსებული ცენტრალური თესვის კომიტეტი და მაზრებში დამთესი კომიტეტები დამკვრელი წესით შეუდგნენ (საერთოთ საქართველოში) პირველ თესვის კამპანიის ჩატარებას.

მიუხედავათ იმისა, რომ კამპანია დაიწყო ძალიან გვიან, მოხერხდა დაუთესავ არეს მნიშვნელოვნად შემცირება.

საერთოთ 1921 წელს ხორბლეული დათესილი იყო 466.000 დესეტ. მიწაზე, თუ არ ჩავთვლით კარტოფილის და ბოსტნეულის კულტურას. იქნა დამზადებული და უფასოთ სესხის სახით დაურიგდა მცხოვრებთ 66.000 ფუთი სათესლე მასალა.

140.000 დესეტინა ამ წლის დაუთესავმა არემ მშვიდობიან დროსთან შედარებით, ერთის მხრივ და შემდეგ გვალვამ, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა ჩვენი პურის მოსავალი, ხოლო ზოგიერთ ადგილებში სრულიად გაანადგურა იგი, მეორეს მხრივ თავს დაატეხეს ჩვენ რესპუბლიკას საქონლის შიმშილის საფრთხე: შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, დუშეთის, ახალქალაქის და სხვა მაზრების გლეხები უკვე 1922 წლის თებერვალში განიცდიდენ შიმშილს.

აქ მთავრობამ სალი ენერგიით, საშუალებათა დაუზოგავათ გაუწოდა დახმარების ხელი დამშეულ მცხოვრებთ, როგორც სურსათით, ისე სათესლე მასალით. აგრეთვე დამკვრელი წესით დამზადებულ იქნა საზღვარ-გარეთის ბაზარზე და სესხის სახით დაურიგდა მცხოვრებთ სათესლე ხორბლეულის საკმაო რაოდენობა. არ იქნა დავიწყებული არც წითელ-არმიელი, არც მილიციონერი, არც პარტიული ამხანაგი, რომელთაც აქვთ მიწა, მაგრამ სამსახურის გამო თესვის დროს ემყოფებოდენ თავიანთი მეურნეობათა გარეშე. არ იყო დავიწყებული არც ერთი გაჭირვებული.

„თესვის კვირეულში", რომელიც ფართოდ და ყველგან აწყობენ პარტიული ამხანაგები, მათი მიწები დახნული იქნა და დაითესა მთავრობის მიერ გაცემულ სათესლე მასალით.

ამგვარად მთავრობის და კომპარტიის ძალღონით არა მარტო სრულიად აღარ დარჩა დაუთესავი მიწები, არამედ მრავალ მაზრებში, დათესილი არე 1922 წელს ბევრად აღემატებოდა ომამდე არსებულ დათესილ მიწებს.

მიწების სრული დათესვის და პურეულობის შედარებით კარგი მოსავლის გამო გასულ წელს თავისუფლად ამოისუნთქა ჩვენმა სოფელმა და კიდევ უფრო განმტკიცდა ამ ფრონტზე თვითეული მიწის მუშა.

1923 წლის დასაწყისში ჩვენ გვქონდა საბუთი დარწმუნებით გვეთქვა, რომ საქართველოში მოხდება ყველა მიწების დათესვა პურის კულტურით.

მიმდინარე თესვის კამპანიის მთავარი უპირატესობა წასული წლების წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ არა მარტო მაზრებში, არამედ ყოველ რაიონში მოიპოვება მთავრობის კარგი ხარისხის სათესლე მასალის სრულიად საკმაო რაოდენობა, ყველა გაჭირვებულთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელი მასალაც წინასწარ ურიგდება მთესველებს თესვის დაწყებამდე.

რათა ერთხელ და სამუდამოთ განმტკიცებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო ფრონტი, მთავრობა ამ წლიდან აარსებს რესპუბლიკის თვითეულ მაზრაში მუდმივ სათესლე ფონდს, რომელსაც საფუძვლად დაედება მთავრობის სათესლე სესხი, 400,000 ფუთი, რომელიც დაურიგდა საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთ 1921—22 წელს და რომელიც ხალხისით დაუბრუნდა მთავრობას ამ წლის თესვის დაწყებამდე.

ასეთი ფონდის არსებობა, ერთის მხრივ საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად ვიქონიოთ დათესილ არეს საჭირო რაოდენობა, და მეორეს მხრივ მისი მუდმივი გაუმჯობესებით, გადარჩევის, გამოცვლის და გაწმენდის საშუალებით შესაძლებელი გახდება გავაუმჯობესოთ ჩვენი პურების ხარისხი, და მნიშვნელოვნად გავადიდოთ მოსავალი.

გარდა დათესვის საკითხისა, გასულ ორი წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე მიღწეულია დიდი წარმატება მევენახეობის, მებაღეობის, მეთამბაქოობის, მეაბრეშუმეობის, ბამბის მოყვანის და სხვ. დარგებში, გაუმჯობესებულ თესლის სისტემატიურად გაცემის, მევენახეობის წამლობისათვის მასალების და აპარატების შეღავათიან პირობებში გაცემის, სანერგე მასალის, კარგი ხარისხის აბრეშუმის თესლის და სხვა დარგების საშუალებით.

შ. ელიავა.

საბინაო კრიზისის შესახებ

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში სხვა შედეგებთან ერთად მოჰყვა ბინის პირობების გაუმჯობესება მუშებისათვის. ჯერ კიდევ საერთაშორისო ომის დაწყებიდან თბილისმა, და არა მარტო თბილისმა, არამედ რუსეთის და ევროპის სხვა დიდმა ქალაქებმაც იგრძნეს საბინაო კრიზისი. ომმა შეაჩერა ახალი სახლების შენება და ძველების ცოტათ თუ ბევრად შეკეთება. ძველმა სახლებმა კი ვეღარ დააკმაყოფილეს ომით გამოწვეულ გადაჯგუფებულ ხალხის მოთხოვნილებები და აქედან იწყება ის საბინაო კრიზისი, რომელსაც ჩვენ დღესაც ასე მწვავეთ განვიცდით.

რევოლიუციამ და სამოქალაქო ომებმა კიდევ უფრო გაართულა ბინების მოწესრიგების საკითხი: იმ ქალაქებში, სადაც მუშათა კლასს იარაღით ხელში უხდებოდა თავის ძალა-უფლების განმტკიცება და ამ მიზნით ის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული ბურჟუაზიასთან, რა თქმა უნდა ძნელი იყო სახლების დაცვა და ჩვენ ვიცით, რომ სამოქალაქო ომის ერთ უმწვავეს შედეგათ მივიღეთ ნახევრად თუ ძლიერ დანგრეული სახლები ბევრ ქალაქებში და ბევრგან კიდევ უპატრონოთ მიტოვებული და გაქცეულ ბურჟუაზიის მიერ გაძარცული სახლები.

პოლიტიკური ძალა-უფლების გამტკიცების შემდეგ მთელი რესპუბლიკის საზღვრებში, მუშათა კლასის წინაშე იდგა საკითხი ყველა ასეთი სახლების აღდგენისა და მათი სათანადო მოვლა-პატრონობის შესახებ. ერთი დაკვრით, რა თქმა უნდა, ძნელი იყო დანგრეულ სახლების აღდგენა.

თბილისს არ გამოუცდია სხვა ქალაქების მსგავსათ სამოქალაქო ომის საშინელებანი, მაგრამ საბინაო კრიზისი აქაც მეტად საგრძნობია. საქართველოში „დემოკრატიული" მთავრობის არსებობის დროს ბინების საკითხი მუშებისათვის იგივე მდგომარეობაში დარჩა, როგორც ეს იყო მეფის მთავრობის დროს: მუშები იმავე სარდაფებში სცხოვრობდნენ ქალაქის განაპირა უბნებში და მზიან და კარგ ბინებზე ოცნებაც კი იმ დროში მათთვის შეუძლებელი იყო. საბჭოთა მთავრობამ კი, როგორც მუშათა კლასის ინტერესების მატარებელმა, არ შეეძლო გულგრილათ ეცქირა ამ მდგომარეობისათვის და აქ მუშების ერთი ნაწილი ქალაქის განაპირა უბნებიდან გადმოსახლებული იქმნა ცენტრში, ბურჟუაზიის ყოფილ დარბაზებში.

მუშებისათვის ბინებზე ზრუნვა თავიდანვე დაკისრებული ჰქონდა ქალაქის აღმასკომს მისი საბინაო ქვეგანყოფილების სახით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე თბილისში აღებული იყო განსაზღვრული რიცხვი სახლებისა სპეციალური დანიშნულებით—წარმოებათა სხვა და სხვა დარგის მუშების ჩასასახლებლად; თვითეულ კავშირს მიცემული ჰქონდა განსაზღვრული რიცხვი სახლებისა თავის წევრებისათვის და ასეთი სახლების რიცხვი ამ ჟამად თბილისში უდრის 71-ს *) მუშათა სახლების სახელწოდებით.

იმ მუშებისათვის, რომელნიც მუშათა სახლებში ვერ მოთავსდნენ, უნდა ეზრუნა საბინაო ქვეგანყოფილებას, მათთვის შესაფერ ბინების მოძებნით და შიგ ჩასახლებით. ამ ჟამათ ჩვენ გვაინტერესებს ამ განყოფილების საქმიანობა, გამოვარკვიოთ იმასი, თუ რამდენათ შესძლო აღნიშნულმა განყოფილებამ დასახული მიზნის განხორციელება.

ჩვენ თუ თვალს გადავავლებთ თბილისის აღმასკომის 1922 წ. მუშაობის ანგარიშებს, ნათელი გახდება ის მუშაობა, რომელსაც ეწეოდა აღმასკომის საბინაო ქვეგანყოფილება. საანგარიშო წლის განმავლობაში საბინაო განყოფილებას გაუცია სულ 4665 ორდერი 6 903 ოთახზე; *) რაოდენობა რა თქმა უნდა არც ცოტაა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში საბინაო განყოფილება მუდმივ რეორგანიზაციას განიცდიდა, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცოტა საქმე არ გაკეთებულა. მართლაც და რა არის 6 903 ოთახის განაწილება მთელი წლის განმავლობაში ისეთ დიდ ქალაქში, როგორიც არის თბილისი! თუ სახლების საერთო რაოდენობას თბილისში საშუალოდ მივიღებთ 5 000-ს, თვითეულს 15 ოთახის (საშუალოდ) შემადგენლობით, მაშინ მთელს თბილისში ჩვენ მივიღებთ 75 000 ოთახს; თვითეულ სახლში რომ ავიღოთ ორი ოთახი ისეთი, რომელზედაც შეიძლებოდეს საბინაო განყოფილების უფლების გავრცელება, მაშინაც კი საბინაო განყოფილებას 10.000 ოთახი მაინც უნდა მოეძებნა თბილისში. საბინაო განყოფილებას მთელი წლის განმავლობაში გაუცია 4665 ორდერი 6 903 ოთახზე, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხშირად ერთ და იმავე ოთახზე რამდენიმე ორდერი ყოფილა გაცემული, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ანგარიშში მოყვანილი ცნობები სინამდვილეს სავსებით არ შეეფერება.

როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, საბინაო განყოფილება ხშირ რეორგანიზაციას განიცდიდა. ბევრი ლაპარაკი იყო იმის შესახებ, დარჩენილიყო საბინაო განყოფილება აღმასკომის ხელში თუ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გადაცემოდა—ბოლოს, წასული წლის სექტემბერში, გადაწყდა, რომ საბინაო განყოფილება დარჩენილიყო აღმასკომთან, მხოლოდ მისი შტატი შეედგინა პროფკავშირთა საბჭოს—მხოლოდ ამის შემდეგ იწყება საბინაო განყოფილების ინტენსიური მუშაობა. ოქტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში მოდის მეტი წილი გაცემული ოთახებისა.

იმ სისტემამ, რომლითაც დღის სარგებლობს საბინაო განყოფილება, აღარ მოაქვს ისეთი ნაყოფი, როგორც ის წინედ იყო, რადგან ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩადგომის შემდეგ ტფილისის მცხოვრებნი დამკვიდრდენ ერთ ადგილზე და გადასვლა-გადმოსვლას აღარ აქვს ხშირათ ადგილი; შემჭიდროების მხრივაც თითქმის ყველა შემჭიდროებულია; ჩვენი აზრის საილიუსტრაციოთ, ჩვენ ვსარგებლობთ იმ სტატისტიკური ცნობებით, რომელიც მოყვანილია ტფილისის აღმასკომის 1922 წ. პირველი ოთხი თვის მუშაობის ანგარიშში (გვერდი 145).

თბილისის მცხოვრებთა საშუალო სიმჭიდროვე შემჭიდროებამდე.

ცხრილი № 1.

რაიონები	რაოდენობა სახლთა	საერთო რაოდენობა სივრცის (კვ. ადლი)	ერთ სულზე მოდის (კვ. ადლი)
1, 3, 4, 9, 10	2391	51,857	21,5

შემჭიდროების შემდეგ.

ცხრილი № 2.

რაიონები	რაოდენობა სახლთა	საერთო რაოდენობა სივრცის (კვ. ადლი)	ერთ სულზე მოდის (კვ. ადლი)
1, 3, 4, 9, 10	2877	51,357	17,8

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს საცხოვრებელ ბინის სივრცის რაოდენობა თვითეულ სულზე 21,5 კვ. ადლიდან შემჭიდროების შემდეგ ჩამოვიდა 17,8 კვ ადლამდე, ე. ი. იმ ნორმის ქვევით, როგორც ეს განსაზღვრულია სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტში (25 კვ ადლი სულზე).

ჩვენ თუ ავიღებთ მუშათა სახლებს იქ სიმჭიდროვე კიდევ უფრო მეტია.

მუშათა სახლების რაოდენობა	ოთახების საერთო რაოდენობა ყველა სახლებში	დაკავ. არა მუშებს (ოთახები)	დაკავ. მუშებს (ოთახ.)	[illegible] (1 ოთახ.)	საერთო სივრცე (კვ. ადლი)	სულზე მოდის (კვ. ადლი)	პროფ. კავშ. წევრთა საერთო რაოდენობა თბილისში	რამდენი პროცენტი მუშებისა არის ჩასახლებული მუშათა სახლებში	რამდენი სული მოდის 1 ოთახზე
71	3231	1498	1636	107	58.598	14,9	45,782	3,3	2,4

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს მუშათა სახლებში სიმჭიდროვე თითქმის 3 კვ. ადლით მეტია, ვიდრე კერძო სახლებში. ამ ცხრილიდანვე სჩანს, რომ თბილისის პროფკავშირების წევრების მხოლოდ 3,3 პროცენტია ჩასახლებული—მუშათა სახლებში, ზოგი ჩასახლებულია საბინაო განყოფილების მიერ კერძო სახლებში, დანარჩენნი კი, და უმრავლესობა, დარჩენ ისევ იმ ბინებში, რომლებშიაც მათ რევოლიუციამ მოუსწრო, ან ამ ძველ ნესტიან ბინებში დარჩენილ მუშებისათვისაა დღეს საჭირო ზრუნვა და მათი მზეზე გამოყვანა აუცილებელია.

როგორც ზევითაც დავინახეთ საბინაო განყოფილებისათვის დღეს სამოქმედო სარბიელი მეტად შემავიწროებელია, რადგან თავისუფალ ბინების შოვნა გაჭირვებულია. და ამას გარდა კიდეც რომ მოსახერხებელი იყვეს მუშების თვითეულად ჩასახლება,—ეს შესამჩნევ შედეგს ვერ მოიტანს, რადგან მას ექნება თვითეულ შემთხვევის ხასიათი. ამისათვის, ჩვენის აზრით, აუცილებელია მუშების ჩასახლებას მიეცეს უფრო ორგანიზაციული, მასიური ხასიათი, რისთვისაც საჭირო იქნება მუშათა სახლების ქსელის გადიდება. მართალია მუშათა სახლებში მუშები სივიწროვეს განიცდიან, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ მცირე რიცხვ სახლებში ჩასახლებულია ბევრი მუშები.

მუშათა სახლები ბევრის მხრივ სასარგებლოა მუშებისათვის: ჯერ ერთი იმიტომ, რომ იქ ბინები კარგია; ამას გარდა ასეთ სახლებში თავს იყრიან ერთი კავშირის წევრები და ეს გარემოება კი სახლის მმართველობა-პატრონობის მხრივ კავშირისათვის მეტად სასარგებლოა. ყველა ამას რომ მიუმატოთ ისიც, რომ მუშათა სახლებში მუშები ეჩვევიან ერთად, კოლექტიურათ ცხოვრებას,—ჩვენთვის აშკარა გახდება ის უპირატესობანი, რომლებიც უნდა იქნენ მიღებული მხედველობაში საბინაო საკითხის გადაწყვეტის დროს.

მუშათა სახლების რიცხვი უნდა გადიდდეს, ეს საქმე პროფკავშირთა საბჭომ უნდა მოაწყოს. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა ერთ გარემოებაზე მიუთითოთ პროფკავშირთა საბჭოს თბილისში მუშათა სახლებთან ერთად არის კიდევ ე. წ. საბჭოთა სახლები (მუნიციპალიზაციის წესით ჩამორთმეული), რომელთა რიცხვი 400-მდე აღის, ამ სახლებში ბევრია ისეთი, რომლებიც თამამად შეიძლება გამოყენებულ იქნან მუშათა სახლებათ. ჩვენის აზრით, ზედმეტი არ იქნებოდა პროფკავშირთა საბჭოს მიექცია მათთვის ყურადღება. ასეთი სახლების აღება სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან მათი რიცხვის სიდიდის გამო ისინი ჯერ კიდევ ვერ არიან ქალაქის აღმასკომის მიერ სათანადოთ მოვლილი და აღმასკომიც, მე მგონია, სიამოვნებით გადასცემდა მათ პროფკავშირთა საბჭოს გრძელვადიან იჯარით ანდა საკუთრებაში იმ პირობით, რასაკვირველია, თუ თავის დროზე ექნებათ მათ გაკეთებული საჭირო რემონტი. ამ რიგათ მუშებისათვის გამოსადეგი საბჭოთა სახლები გადავა პროფკავშირთა ხელში, ნაწილი დარჩება ქალაქის აღმასკომს და უვარგისი ნაწილი კი შეიძლება დაუბრუნდეს ყოფილ მეპატრონეთ ან-და გაიცეს გრძელვადიან იჯარით კერძო პირებზე მათი სათანადო წესრიგში მოყვანის პირობით.

საბინაო კრიზისი მეტად მწვავეთ სდგას დღეს თბილისში და საჭიროა გადაუდებლათ მისი მოგვარება. საჭიროა ენერგიული ზომების მიღება საკითხის ფართო მასშტაბით გადაწყვეტისათვის. პალიატივებით კი საქმის გაკეთება შეუძლებელია. ერთად-ერთი გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან არის მუშათა სახლების ქსელის გადიდება და პროფესიონალურ კავშირების ყოველმხრივი ჩარევა ამ საქმეში.

მ.

---

*) იხ. ქალ. აღმასკომის 1922 წ. იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის მუშაობის ანგარიში. გვ. 146.

*) იხ. თბილისის აღმასკომის 1922 წ. მუშაობის ანგარიში (სტატისტიკური ცნობები).

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობა

დილის სხდომა

(20 აპრილს)

რეზოლიუცია ც. საკონტროლო კომისიის მოხსენების შესახებ.

მოსკოვი. 21 აპრილი. ყრილობის დილის სხდომაზე 20 აპრილს ამხ. შირიატოვმა გააკეთა მოხსენება ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ. მოხსენების შესახებ მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია: **„მოისმინა რა ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოხსენება, ამ მუშაობას აღიარებს სწორათ, მოხსენებას კი დამაკმაყოფილებლად.**

ამხ. ბუხარინის მოხსენება კომინტერნის მუშაობის შესახებ.

მოხსენებით კომინტერნის მოქმედების შესახებ გამოდის ამხ. ბუხარინი, რომელსაც მქუხარე აპლოდისმენტებით ხვდებიან.

კაპიტალისტური სისტემის კრიზისი.

იმპერიალისტურმა ომმა, ამბობს ამხ. ბუხარინი, პირველყოვლისა გამოიწვია საწარმოო ძალების კოლოსალური ნგრევა და მსოფლიო მეურნეობის ორგანიზაციული სტრუქტურის უდიდესი შეცვლა.

კრიზისის საერთო ხასიათი

კაპიტალისტური სისტემის კრიზისის საერთო მიმდინარეობა ასეთია: 1919—20 წ. წ. პერიოდში კრიზისი პოლიტიკური მდგომარეობის სასტიკათ გამწვავებით ხასიათდება. კრიზისი თავს იჩენს პირველ ყოვლისა მუშათა კლასის პოლიტიკური აჯანყებების სახით. დაახლოვებით ამ პერიოდის დასასრულისათვის ჩვენ საქმე გვაქვს მუშათა კლასის მთელ რიგ დამარცხებასთან და მისი სისხლის დაღვრასთან.

ნგრევის ეპოქა.

ეს პერიოდი შეიძლება დახასიათდეს, როგორც კაპიტალისტურ ურთიერთობის არაჩვეულებრივათ ნგრევის და ეკონომიური ხასიათის მსოფლიო კრიზისის ეპოქა.

შემოტრიალების დასაწყისი.

22 და 23 წლები მიმდინარეობენ ეკონომიური აღორძინების ნიშნის ქვეშ ზოგიერთ ქვეყნებში. გამოცოცხლება გამოწვეულია ერთის მხრივ მუშათა კლასის შრომის ხელფასის ნაწილის ექსპროპრიაციით და მეორე მხრივ იმ მდგომარეობით, რომ ზოგიერთმა ქვეყნებმა მაღალი ვალიუტით მიიღეს მთელი რიგი ზომები იმ ქვეყნების კონკურენციიდან თავის დასაცავათ, რომელთა პროდუქტების წარმოება იაფი ჯდება.

მსოფლიო მეურნეობა არ აღდგენილა.

მსოფლიო მეურნეობა, განაგრძობს ამხ. ბუხარინი, არ აღდგენილა, მაგრამ თვითეულმა გამარჯვებულმა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ იშოვა ახალი ბაზარი, რომელმაც ხელი შეუწყო მის ერთგვარ გამოცოცხლებას. ამ რიგად საერთაშორისო მეურნეობა არ აღდგენილა, მაგრამ მოიწყო რამდენიმე კარჩაკეტილი სისტემა.

მსოფლიო წარმოების დაცემა

1923 წლის პირველ თვეებისათვის ჩვენ კვლავ ვხედავთ მრეწველობის დაცემას საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, უნგრეთში, ბელგიაში, იტალიაში და მხოლოდ ინგლისში ვამჩნევთ ერთგვარ წინსვლას. ის ამოცანა, რომელიც ობიექტიურად ჰქონდა დასმული კაპიტალისტურ მსოფლიოს იმპერიალიზმის მეთოდით გადასაჭრელათ და აგრეთვე მსოფლიო მეურნეობის ორგანიზაციის ამოცანა, არ არის შესრულებული. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მსოფლიო მეურნეობა იმ ოდენობითაც არ არის აღდგენილი ძველი ბაზით.

კაპიტალისტური ქვეყნების საერთო პოლიტიკა არ არსებობს!

აქედან გამომდინარეობს, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოების სურვილი აწარმოონ შეთანხმებული პოლიტიკა, უიმედო სივრცეში ჰქრება. მსოფლიო არა თუ არ დამშვიდებულა, არამედ საშინელ დუღილს განიცდის. რომ გადავავლოთ თვალი სახელმწიფოთა ურთიერთობას, დავინახავთ მთელ რიგ შეტაკებებს და კონფლიქტებს. აქედან გამომდინარეობს დაშლის აუცილებლობა, რომელიც ვითარდება ახალ სპეციფიურ ფორმებში.

რევოლიუციონურ მოძრაობის ანალიზი.

შემდეგ ამხ ბუხარინი გადადის რევოლიუციონური მოძრაობის საერთო ანალიზზე.

ილიჩის უკანასკნელი წერილი, ამბობს ბუხარინი, ჩვენს ყურადღებას აქცევს მსოფლიოს აღმოსავლეთ ნაწილს.

საბჭოთა რესპუბლიკა დგას აღმოსავლეთის მრავალრიცხოვან მასებსა და იმპერიალისტებს, პირველ რიგში, დასავლეთის სახელმწიფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობის საზღვარზე.

აღმოსავლეთი ჩაება ბრძოლაში.

თუ ჩვენ ავიღებთ აღმოსავლეთში საქმეების საერთო მდგომარეობას, დავინახავთ, რომ მთელი აღმოსავლეთი, ისე როგორც სხვა ახალშენები, ებმებიან რევოლიუციონურ ბრძოლაში.

იაპონია განიცდის იმ მდგომარეობას, რომელსაც რუსეთი განიცდიდა 1905 წელს. ინდოეთში ჩვენ საქმე გვაქვს გლეხების ნაციონალურ-რევოლიუციონურ დუღილთან. ჩინეთში სწარმოებს განუწყვეტელი სამოქალაქო ომი. შემდეგ ჩვენ გვაქვს ისეთი ფაქტორი, როგორიც არის იმპერიალისტური ოსმალეთი, რომელიც ანგრევს იმპერიალისტურ დასავლეთს. ჰოლანდიის ინდოეთი, საფრანგეთის და იტალიის ახალშენები აფრიკაში ღრმა რევოლიუციონურ დუღილს განიცდიან.

აგრარული მოძრაობა.

აღმოსავლეთში თავი იჩინა გლეხების აგრარულმა მოძრაობამ, რომელიც ხშირათ გადაწნულია ხან მუშათა და ხან დასავლეთ—ევროპისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულ ბურჟუაზიულ მოძრაობასთან.

პროლეტარიატის ქვეითა ჯარი.

პროლეტარიატს აღმოსავლეთის კოლონიებში ჰყავს უდიდესი დამხმარე ჯარი, რომლებიც კომუნისტებმა უნდა ჩააბან ბრძოლაში. აღმოსავლეთის თვითეულ ქვეყანაში ამ მოძრაობის ანალიზით, ამხ. ბუხარინი ამთავრებს კაპიტალისტური ქვეყნის ანალიზის პირველ ნაწილს.

მდგომარეობა ევროპაში.

ბურჟუაზიას არ შეუძლია მართვა-გამგეობა.

შემდეგ ამხ. ბუხარინი გადადის ევროპის მდგომარეობის ანალიზზე. საერთოდ, ამბობს ბუხარინი, კლასებს შორის დამოკიდებულება ევროპაში შეიძლება დახასიათდეს როგორც გაგრძელება კაპიტალის შეტევისა.

ლიბერალიზმის „შეკეთება".

ფაშიზმის ღრმა ნიადაგი მდგომარეობს იმაში, რომ კლასთა შორის ახლა არსებულ ურთიერთობის პირობებში ევროპის ბურჟუაზიას არ ძალუძს გაუძლოს სამეურნეო ცხოვრების იმ საფუძვლებზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ კაპიტალისტური წარმოების ნორმალურ მიმდინარეობას. თვით თითქმის ლიბერალურმა ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა ამას წინათ, რომ ინგლისის პარლამენტიც საჭიროებს ისეთ კორექტივს, რომელსაც წარმოადგენენ იტალიის ფაშისტური ორგანიზაციები. რეაქციის გაძლიერება დაკავშირებულია რურის ამბებთან და მას მოჰყვა ფრანგ და ბელგიელ კომუნისტების დატუსაღება.

რურის გამოძახილი.

რურის ოკუპაციამ გამოიწვია აგრეთვე მუშათა მოძრაობის გამოცოცხლება, რადგან დღის წესრიგში დაისვა პოლიტიკური მომენტი—ახალი ომის საშიშროება.

საერთოდ 1923 წლის პირველ მესამედში ჩვენ ვხედავთ მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებას. ამ გამოცოცხლებას აქვს ეკონომიური და პოლიტიკური საფუძველი. რევოლიუციონური მოძრაობის მთავარი დაბრკოლებაა დემოკრატიული პარტიების და ამსტერდამის ინტერნაციონალის ძალა, რომელთაც ევროპა-ამერიკაში ჯერ კიდევ მუშათა საგრძნობი მასები მისდევენ.

მუშები თავს იყრიან კომინტერნის დროშის ქვეშ.

თვალი რომ გადავავლოთ კომუნისტური ინტერნაციონალის არმიას, ჩვენ ახლა გვყავს 500 ჯგუფი, რომლებიც ფორმალურად შედიან კომინტერნში და ამა თუ იმ დამოკიდებულებაში არიან ჩვენთან. კომინტერნში შესული პარტიები აერთებენ 3 მილიონამდე კაცს. ამ რიცხვში არ შედიან რევოლიუციონური პროფკავშირები, რომლებიც შედიან პროფინტერნში და ჩვენთან ერთად მუშაობენ. ევროპის ძირითად ქვეყნებში ჩვენი რიგები გაიზარდა.

სოციალ-დემოკრატები კარგავენ თავის გავლენას.

წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების რიცხვი თანდათანობით მცირდება და ამ პარტიების გავლენა მასებში თანდათანობით იკარგება. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ სოციალ-დემოკრატები თანდათანობით გადადიან სხვა ბაზაზე და მუშათა კლასიდან გადადიან კოოპერატივების თანამშრომლობაზე. ისინი ახლა ისეთ მდგომარეობას განიცდიან, როგორსაც ჩვენი მენშევიკები რევოლიუციის პერიოდში.

საერთო პროცესი.

სოციალ-დემოკრატიის რიგებში დაწყებული შლა თავის გამოხატულებას პოულობს შეთანხმებაში სოციალ-დემოკრატიის სხვა და სხვა ჯგუფებს შორის.

შინაგანი რღვევა.

ერთის მხრივ ხდება 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალების გაერთიანება, მეორე მხრივ—სოციალ-დემოკრატიულ პარტიების შინაგანი რღვევა და სხვა და სხვა ჯგუფების რიცხვის ზრდა. სოციალ-დემოკრატიის რიგების დაშლა აიხსნება შემდეგი მიზეზებით: მათი პოლიტიკით ომის და რურის ოკუპაციის საკითხებში, კომუნისტური პარტიის გავლენის ზრდით უკანასკნელ პერიოდში და საბჭოთა რუსეთში მდგომარეობის გაუმჯობესებით.

ჩვენი ტაქტიკა.

ამ კონიუნქტურიდან გამომდინარეობს ჩვენი ტაქტიკის ბაზი, რომელიც მდგომარეობს მასების დაპყრობაში. დრო ახლა ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს. ძალთა განწყობილება ისეთია, რომ მუშათა მოძრაობა ჩვენს გავლენის ქვეშ იმყოფება და ისტორია მიდის იქითკენ, რომ ჩვენ დავიპყროთ ავანსცენა. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ უნდა წამოვაყენოთ ლოზუნგები მასების დაპყრობის, სოციალ-დემოკრატიის გახრწნის და ძალების კონცენტრაციის შესახებ, კაპიტალისტურ მსოფლიოზე ახალი იერიშების მისატანად.

ერთიანი ფრონტი.

აქედან პირველ ყოვლისა გამომდინარეობს ერთიანი ფრონტის ტაქტიკა. ერთიანი ფრონტის ტაქტიკა ეს არის უშუალო გამოხატულება მასებში გავლენის მოსაპოვებლად ბრძოლისა. ამხანაგი ბუხარინი მიუთითებს შეცდომებზე ერთიანი ფრონტის ტაქტიკაში. ამ შეცდომებიდან ის აღნიშნავს: პირველ ყოვლისა ლტოლვას ოპორტუნისტულ ელემენტებთან ერთობისაკენ, მეორე—დასკვნა, რომ ყოველ პირობებში საჭიროა საპარლამენტო ბლოკი სოციალ-დემოკრატებთან და მათთან ერთად გამოსვლა, მესამე ის აზრი, თითქო სოციალ დემოკრატებთან ერთად მუშაობის დროს შეუძლებელია მათი კრიტიკა და მეოთხე ერთიანი ფრონტისათვის ბრძოლის საგიტაციო მხარის სათანადოდ ვერ გამოყენება.

მუშების პასუხი.

მუშები სწორად აფასებენ ერთიანი ფრონტის ტაქტიკას. ეს ტაქტიკა მეტად სასარგებლოა და მუშათა მასებში მხურვალე თანაგრძნობას ხვდება.

მუშური მთავრობა.

მეორე ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა კომინტერნმა, ეს არის მუშათა მთავრობის შექმნა. ეს ლოზუნგი ცოტათ თუ ბევრათ აქტუალურია ჯერჯერობით მხოლოდ გერმანიაში, თუმცა მას აგიტაცია-პროპაგანდის მიზნით ვიყენებთ სხვა ქვეყნებშიც. ამხ. ბუხარინი ვრცლათ ეხება ამ ლოზუნგს, არკვევს მას და მიუთითებს ზოგიერთ გადახრაზე ამ ლოზუნგის სწორათ გაგებაში.

ბრძოლა ფაშიზმთან.

თებერვალში, განაგრძობს ბუხარინი, კომინტერნმა დაადგინა დაიწყოს ბრძოლა ფაშიზმთან ჩატარდა მასიური კამპანია პრესაში, მიტინგებზე და საერთო კრებებზე.

რურის ოლქის კონფლიქტში, კომუნისტური ინტერნაციონალი წარმოადგენს ძალას, რომელმაც გაბედა იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლის მოწყობა.

კომინტერნის ძალები გაიზარდა.

შემდეგ ამხ. ბუხარინი ეხება მდგომარეობას კომინტერნის მნიშვნელოვან სექციებში. ათავებს რა თავის მოხსენებას ამხ. ბუხარინი ამბობს: საერთოდ კომუნისტური ინტერნაციონალის ძალები გაიზარდა. ჩვენ ზურგს უკან დგას ევროპის პროლეტარული ავანგარდი და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი.

ჩვენი ძალა.

ჩვენ გვაქვს უძლიერესი პროლეტარული სიმაგრე საბჭოთა რუსეთის სახით და უდიდესი რეზერვი ბრძოლაში ჩაბმული აღმოსავლეთის მრავალმილიონიანი მასების სახით. ეს მდგომარეობა ჩვენ გვაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას და მოითხოვს მეტად დიდ ყურადღებას ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანების მიმართ.

ბუხარინის სიტყვას მქუხარე ტაში ფარავს.

რეზოლიუცია ამხ. ბუხარინის მოხსენების შესახებ.

ამხ. ბუხარინის მოხსენების შემდეგ ყრილობა კამათის გაუხსნელად ერთხმად იღებს შემდეგ რეზოლიუციას:

„რ. კ. პ. ყრილობა სავსებით იწონებს რ. კ. პ. დელეგაციის მუშაობას კომინტერნში, რუსეთის კომუნისტური პარტია სრულს ანგარიშს უწევს იმ სიძნელეთ, რომლებსაც განიცდიან მუშათა პარტიები მთელ რიგ ქვეყნებში, რაც დაკავშირებულია ფაშიზმის ზრდასთან და ბურჟუაზიული რეაქციის მძვინვარებით მუშათა მასების წინააღმდეგ დაწყებული გაფართოებული რეპრესიებით. ყრილობა უცხადებს კომინტერნს, რომ მისი რუსეთის სექცია თავის პირველ ამოცანად, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ისახავს ყველა ქვეყნების პარტიების დახმარებას კომუნიზმისათვის ბრძოლის დროს მესამე ინტერნაციონალის გამოცდილი ხელმძღვანელობის ქვეშ.

რადიო-ტელეგრამები

რურის ოლქის ოკუპაცია

უმუშევრების მღელვარება გრძელდება.

ბერლინი. 19 აპრილი, მიულგეიმში და რურში გრძელდება მღელვარება უმუშევრებს შორის. ესენში გაიმართა მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 6000 უმუშევარმა.

მუშების გასამართლება.

ბერლინი. 19 აპრილი. საფრანგეთის სამხედრო სასამართლომ რურში ორ მუშას მიუსაჯა საბოტაჟისათვის 10 წლის საკატორღო მუშაობა.

ესსენის ამბების გამო.

ბერლინი. გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა საფრანგეთის მთავრობას დანიშნოს საერთაშორისო კომისია ესენში მომხდარ ამბების გამოსარკვევად. გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ საფრანგეთის სამხედრო სასამართლოს, რომელსაც მინდობილი აქვს კრუპის დირექტორების პროცესის წარმოება, არ შეუძლია იყოს მიუდგომელი.

გადასახლებულ გერმანელების რიცხვი.

ბერლინი. რეინლანდიიდან და რურიდან გადასახლებულ გერმანელების რიცხვა უდრის 28 800 კაცს.

ოკუპაციის გარშემო

ინგლისის პროტესტი

ბერლინი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ მთავრობის წარმომადგენლის თემთა პალატაში განცხადების თანახმად, საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა ინგლისის იარაღის გატანა დაკავებულ ოლქიდან. ამ ცნობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მაგრამ რადგან საფრანგეთის მთავრობა თავის პასუხში სცდილობდა თავის საქციელის გამართლებას და არას ამბობდა იმაზე, რომ არ აქვს განზრახული დაარღვიოს საფრანგეთ-ინგლისის 1922 წლის კონფერენცია. პარიზში მყოფ ინგლისის ელჩს მიენდო სათანადო განცხადებით წარსდგეს საფრანგეთის მთავრობის წინაშე.

ძველი ისტორია.

ლონდონი. 19 აპრილი. ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის დელეგაციამ, რომელმაც ამას წინად ინახულა რურის ოლქი, გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიაც მოითხოვს დაუყონებლივ მიმართონ საფრანგეთის და გერმანიის მთავრობებს წინადადებით, რათა რურის საკითხის გადაჭრა დაევალოს საერთაშორისო ტრიბუნალს. დელეგაციის აზრით, გერმანიის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია რურის საკითხის გადაჭრა.

ჩხუბი მოხდით.

ლონდონი 19 აპრილი. კანადის გაზეთის „გლობ ტერენტე"-ს კორესპონდენტი იტყობინება, რომ საფრანგეთ-ბელგიის შორის თავი იჩინა სერიოზულმა უთანხმოებამ რურის საკითხში. ბელგიის მრეწველები უკმაყოფილო არიან იმ ზარალით რომელიც მათ მიაყენა რურის ოკუპაციამ. ამის გამო, ბელგიის მთავრობა წინადადებას აძლევს საფრანგეთს, რათა მან ან დაუყონებლივ დამთავროს საქმე გერმანიის შევიწროებას გაძლიერების გზით, ან გაიყვანოს ჯარები რურიდან და დაუბრუნდეს საქმიან პოლიტიკას.

კორესპონდენტი ფიქრობს, რომ რურის საკითხი მიიღებს სხვაგვარ ხასიათს.

რურის უმუშევართა შეტაკება პოლიციასთან.

ბერლინი. 21 აპრილი მიულგეიმში უმუშევართა შორის მღელვარების გამო მდგომარეობა მეტად გამწვავდა. უმუშევრებმა მოახერხეს ზოგიერთი მაღაზიების დაკავება იარაღით ხელში მოხდა შეტაკება პოლიციასთან უმუშევრების მიერ აგებულ ბარიკადებთან. ადგილობრივი პოლიციის დასახმარებლად დუისბურგიდან გამოიწვიეს 100 პოლიციელი.

დიუსელდორფში ისევ მოხდა უმუშევრების გამოსვლა, რომელიც ჩააქრო პოლიციამ.

ესენში უმუშევრებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, რის შემდეგ მათ ალყა შემოარტყეს რატუშის შენობას.

ობერგაუზენში პარასკევს ღამით უმუშევრებმა ხელთ ჩაიგდეს იარაღის საწყობი.

რურორტში უმუშევრები მივიდენ რატუშასთან თავისი მოთხოვნილებების წარსადგენათ

მიულგეიმში მომხდარ ამბების გამო პოლიციამ დაატუსაღა 40-დე კომუნისტი.

ინგლისის ამბები

დანბრინის ტყვეთ წაყვანა:

ლონდონი. 17 აპრ. ირლანდიის აჯანყებულების ერთ ერთი გამოჩენილი მეთაური გუშინ ტყვეთ წაიყვანა მთავრობის ჯარებმა.

სპეკულიანტებმა მეფე შეინახონ.

ლონდონი. 17 აპრ. თემთა პალატაში კამათის დროს კომუნისტმა ნიუბოლდმა განაცხადა: „ინგლისის ყველა მოხელეები მეფიდან დაწყებული მეტად დიდ გასამრჯელოს იღებენ. თუ მეფის წლიწადში სახარჯოთ არ ყოფნის 2,000 გირვანქა სტერლინგი, დეე სპეკულიანტებმა შეაგროვონ თანხები მის სასარგებლოდ". იმათ, ვინც აღშფოთებული ხელს უშლიდა ამხ. ნიუბოლდის სიტყვას, მან უთხრა: „თქვენ ყოველთვის ღელავთ, როცა წინადადებას გაძლევენ, რომ მეფე სცხოვრობდეს თქვენსა და არა მუშების ხარჯზე".

მაკდონალდი არიგებს

ლონდონი. 19 აპრ 18 აპრილს მაკდონალდი ეთათბირა ფერმერების და სასოფლო სამეურნეო მუშების წარმომადგენლებს ნორფოლკში გაფიცვის შეწყვეტის შესახებ ფიქრობენ, რომ კონფლიქტს ახლო ხანში მოაგვარებენ.

სხვადასხვა ამბები

შვეცია

შვეციის მონაწილეობა ავსტრიის სესხში.

ბერლინი. სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, რომ შვეციის რეიხსტაგმა მოიწონა შვეციის მთავრობის მონაწილეობა 2 პროც. ავსტრიის სესხში.

გერმანია

გერმანიის მრეწველობის შემცირება.

ბერლინი. ოფიციალური ცნობით, გერმანიის მრეწველობის 40 პროც. შეჩერებულია.

მოსკოვის საბჭოს დელეგაცია ბერლინში.

ბერლინი. 19 აპრილი. მოსკოვის საბჭოს დელეგაცია, რომელიც ჩავიდა ბერლინში, დღეს მიიღო ბერლინის ობერ-ბურგომისტრმა ბესმა. ობერ-ბურგომისტრმა განკარგულება გასცა, რათა მოეწყოს მოსკოვის დელეგაციისათვის მთელი რიგი ექსკურსიებისა, რათა გააცნონ ის ბერლინის საწარმოვო დაწესებულებებს. დელეგაციის წევრებმა მადლობა გადაუხადეს ობერ-ბურგომისტრს და სთხოვეს მას ეწვიოს ის მოსკოვს.

პოლონეთი

არქიმანდრიტის გასამართლება.

ვარშავა. 20 აპრილი. 19 აპრილს ვარშავას სამხედრო-საველე სასამართლოში დამთავრდა ყოფილ არქიმანდრიტის სმაგრადის გასამართლება, რომელმაც მოჰკლა მიტროპოლიტი გიორგი. მიუხედავად პოლონეთის ხელისუფლების ყოველივე ღონისძიებისა, ეს პროცესი გახდა ტრიბუნა, რომელზედაც პირველად გაისმა პოლონეთის ჩაგრულ მართლმორწმუნე სამღვდელოების ხმა. პროცესზე გამოაშკარავდა, რომ გიორგი ხელს უწყობდა პოლონეთში მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გატარებას. ის ფაქტი ვერ უარჰყო თვით პოლონეთის პრესამ, რომ ასამართლებენ გიორგის და არა სმაგრადს. ასეთ პირობებში სასამართლომ ვერ გაბედა სმაგრადისათვის საბრალმდებლო განაჩენის გამოტანა და საქმე გადასცა საოლქო სასამართლოს.

პოლონეთის სოციალისტები ხელს უწყობენ დარბევებს.

ვარშავა. 19 აპრილი. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ უარყო პოლონეთის კომპარტიის წინადადება პირველი მაისის დღესასწაულში შეთანხმებულად გამოსვლის შესახებ. პირველი მაისი „დემოკრატიულ პოლონეთში" დაკავშირებულია დარბევებთან და პოლონეთის სოციალისტური პარტია, ეუფარა რა კომუნისტებს, სამსახურს უწევს პოლიციას და მით თავის თავზე ღებულობს მორალურ პასუხისმგებლობას მოსალოდნელ ექსცესებისათვის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სასოფლო მეურნეობის დახმარება.

ეკატერინბურგი. 19 აპრილი. ურალზე დაარსებული სასოფლო მეურნეობის საერთაშორისო დამხმარე საზოგადოება მიმდინარე გაზაფხულზე სთესს 36 დესეტ. ადგილს და კიდევ ამზადებს დასათესათ 15000 დესეტ. საზოგადოების განკარგულებაშია 20 ტრაქტორი და მოელის უცხოეთიდან კიდევ 15.

გემთ მიმოსვლა ვოლგაზე.

კრასნოიარსკი. 19 აპრილი. ვოლგაზე იხსნება ვოლგის გემთმიმოსვლის მე-12-ე სამმართველო უკვე შეკეთებულია 353 გემი. გემთ-მიმოსვლის საზოგადოებაში შემოვიდა გადასაგზავნათ 200 მილ. ფ. საქონელი.

ტყეების დაცვა.

მოსკოვი. 21 აპრილი. ტყეების დაცვის მიზნით მიწად-მოქმედების კომისარიატთან არსებულმა ცენტრალური სამმართველოს სატყეო კომიტეტმა დაარსა სატყეო ქვეგანყოფილება. ასეთივე განყოფილებები ეწყობა გუბერნიებშიაც. ტყის დასაცავათ არსებობს ტყის შეიარაღებული დამცველ რაზმი.

პროფინტერნში

მოწოდება პირველ მაისისათვის

მოსკოვი. 31 აპრილი. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის მუშებს, პროფინტერნი მოუწოდებს მთელი ქვეყნის მუშებს პირველი მაისის დღესასწაულზე დაანახვონ ყველას, რომ კაპიტალის შეტევამ ვერ შეასუსტა მშრომელთა ნებისყოფა და ბრძოლის სურვილი. ახლა მუშათა კლასი დგას ახალი საერთაშორისო ომის საფრთხის წინაშე და პირველ მაისს მათ უნდა განაცხადონ: „**ომი არ იქნება**". **ყურადღების ცენტრი უნდა იქნას შრომის მთლიანი ფრონტი კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ** ბურჟუაზია ნაგრძობს ბატონობას არა მარტო თავისი ძალების უდიდესი დაჭიმვის საშუალებით, არამედ იმითაც, რომ მუშათა მოძრაობაში აქვს დასაყრდენი პუნქტები საერთაშორისო რეფორმიზმის სახით. ამიტომ მეორე ლოზუნგი იქნება: „ძირს კოალიცია ბურჟუაზიასთან" პირველი მაისი უნდა შექნეს საბჭოთა რუსეთსა და მთელი ქვეყნის აჯანყებულ პროლეტარიატს შორის კავშირის განმტკიცების დღით, რადგან რუსეთის პროლეტარიატის და მის მიერ შექმნილ სახელმწიფოს სახით მთელი ქვეყნის მუშებს ყავთ ერთგული მეგობარი მომავალ ბრძოლებში.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი

(საუბარი უნივერსიტეტის გამგეობის წევრებთან)

ა. ქ. ქ. უნივერსიტეტის მიზანი და ამოცანები.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი ორი საფეხურიდან შესდგება. პირველი საფეხურია ნაციონალური სექტორები—ქართული, სომხური, რუსული და თურქული, მეორე—მაღალი საფეხური იყოფა ორ ფაკულტეტად—საზოგადოებრივ-პედაგოგიური და პარტიულ—საბჭოთა.

საზოგადოებრივ—პედაგოგიური ფაკულტეტის ამოცანას შეადგენს მომზადება: მარქსისტულად განვითარებულ ლექტორებისა პირველი და მეორე საფეხურის საბჭოთა. პარტიული შკოლების დ ტეხნიკუმებისათვის პროპაგანდისტებისა, აგიტატორებისა და ჟურნალისტებისა. პარტიული საბჭოთა ფაკულტეტის ამოცანას კი შეადგენს პარტიულ და საბჭოთა მუშაკების მომზადება სხვადასხვა დარგებისათვის.

სექტორების დანიშნულებაა პარტიულ და საბჭოთა მუშაკების მომზადება მაზრებისათვის.

უნივერსიტეტის კონსტრუქცია.

დეკრეტის თანახმად ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი უნდა შედგეს გაფართოებულ მეორე საფეხურის საბჭოთა—პარტიულ შკოლიდან ერთ წლიანი კურსით, რომელიც ბაზაა უმაღლესი შკოლის. ეს შკოლა იყოფა ოთხ ნაციონალურ სექტორათ 250 მსმენელით, ამათგან რუსულ სექტორზე 50 კაცი, ქართულზე 100 კაცი, თურქულზე—50 კაცი და სომხურ სექტორზე—50 კაცი. უმაღლესი შკოლა სამ წლიანი კურსით იყოფა ორ ფაკულტეტად: საზოგადოებრივ პედაგოგიური—100 კაცი და საბჭოთა და პარტიული—200 კაცი. ფაკულტეტებზე მეცადინეობა რუსულ ენაზე სწარმოებს, რადგან ყველა სექტორები მოგვცემენ საუკეთესო ძალებს და საჭიროა საერთო ენა. როგორც იდეალი, მიზნათ გვაქვს მომავალში ნაწილობრივ ფაკულტეტებზე შემოვიღოთ მეცადინეობა ნაციონალურ ენებზე.

რა გაკეთდა.

ამ ჟამად სწარმოებს მეცადინეობა ქართულ და რუსულ სექტორებზე და საზოგადოებრივ—პედაგოგიურ ფაკულტეტზე. სექტორებში მეცადინეობენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური პარტიული შკოლის კურსანტები, რომლებმაც მეცადინეობა დაიწყეს წარსული წლის სექტემბრიდან და დაამთავრებენ ივნისის შუა რიცხვებში. კურსანტების რიცხვი ასამდეა. ეს რიცხვი თითქმის თანასწორად არის განაწილებული ამ ორ სექტორში. საზოგადოებრივ—პედაგოგიურ ფაკულტეტზე 120 სტუდენტია.

დეკრეტის თანახმად მეცადინეობა ფაკულტეტზე უნდა დაწყებულიყო თუთხმეტ თებერვლიდან, მაგრამ სტუდენტების მიღებამ და გამოცდამ თითქმის ერთი თვე წაგვართვა.

ამ ჟამად მუშავდება მეცადინეობის გეგმა და პროგრამა, საფუძვლათ მიღებულია რუსეთის კომუნისტურ უნივერსიტეტის პროგრამა.

სექტემბრიდან დაიწყება მეცადინეობა პარტიულ-საბჭოთა ფაკულტეტებზე და სომხურ და თურქულ სექტორებზე.

სტუდენტების შემადგენლობა.

საერთოდ მიღებულია 120 სტუდენტი ასის მაგიერ. ამ რიცხვიდან პარტიის წევრთა 88 კაცი. ამათგან: 1906 წ.—1 კაცი, 1910 წ.—1 კაცი, 1914 წ.—2 კაცი, 1917 წ.—8, 1918 წ.—9 კ., 1919 წ.—25 კ., 1920 წ.—28 კ., 1921 წ.—9 კაცი, 1922 წ.—4 კაცი და 1923 წ.—1 კაცი. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის წევრთა 32 კაცი, ამათგან 1918 წ.—2 კ., 1919 წ.—2, 1920 წ.—15 კ. და 1921 წ.—13 კაცი.

სტუდენტების სოციალური შემადგენლობა ასეთია: მოსამსახურე—61 კაცი, მუშა—25 კაცი და გლეხი—24 კაცი ეროვნების მიხედვით: სომეხი—43 კაცი, ქართველი—24 კაცი, თურქი—4 კაცი, ებრაელი—6 კაცი, ლატიში—2 კაცი, ბერძენი—3 კაცი, ოსი 3 კაცი და რუსი—35 კაცი, მოსამსახურეთა რიცხვიდან უმრავლესობა გლეხობიდანაა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოსკოვის კომუნისტური უნივერსიტეტის სალექტორო ჯგუფების შეფარდებაც სოციალური შემადგენლობის მიხედვით თითქმის ასეთ სურათს იძლევა.

რაც შეეხება განათლებას—დაბალით არის 90 კაცი, საშუალოთი კი—30.

გამომგზავნი ორგანიზაციების მიხედვით სტუდენტები ნაწილდებიან ასე: ს. კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა გამოგზავნა 56 კაცი, სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა—21 კაცი, აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკამ—23 კაცი, კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურმა განყოფილებამ—19 კაცი და ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიამ 11 კაცი.

ფაკულტეტზე 18 ლექტორია და 4 ასისტენტი.

საერთოდ სტუდენტებს აქვთ განათლება შრომის შკოლის პროგრამის ფარგლებში მისაღებ გამოცდებზე სტუდენტებს მიეცათ თემა: „რევოლიუციის ძირითადი ეტაპები ლენინის ნაწერების მიხედვით" ამისათვის საჭირო იყო დამუშავება ლენინის ნაწერების მეთოთხმეტე, მეთუთხმეტე და უკანასკნელი ტომის, დაახლოვებით 150 400 გვერდის. მიღებულებიდან ორმა მესამედმა ეს თემა კარგათ დაამუშავა, ერთმა მესამედმა დამაკმაყოფილებლად და შემოსვლის მსურველთა დაახლოვებით მეოთხედმა ნაწილმა არა დამაკმაყოფილებლად, ვერ დაამუშავეს თემა იმათ, რომელთაც არ ქონდათ საკმაო საერთო განათლება და პოლიტიკური მომზადება.

რუსული ენის არ ცოდნის გამო არ მიღების შემთხვევა არ ყოფილა.

პროგრამა.

ახლა ხორციელდება რუსეთის კომუნისტური უნივერსიტეტების კონფერენციაზე მიღებული პროგრამა და სასწავლო გეგმა. პირველ ტრიმესტრზე ასწავლიან რუსულ ენას, მათემატიკას, ფიზიკას, ბიოლოგიას, ფიზიკურსა და ეკონომიურ გეოგრაფიას და კულტურის ისტორიას. თითეულ საგანს ეთმობა 4 საათი კვირაში, გარდა ფიზიკური გეოგრაფიისა რომელსაც კვირაში დათმობილი აქვს 2 საათი. მათემატიკაში გაცხოველებული მეცადინეობა სწარმოებს აგრეთვე საღამოთაც, რომელიც დანიშნულია დამოუკიდებლათ მეცადინეობისათვის. მათემატიკას ეთმობა 10—12 საათია ამოცანათ არის დასმული თუთხმეტი ივნისისათვის შესწავლა არითმეტიკისა, ალგებრისა და გეომეტრიისა შრომის შკოლის პროგრამის ფარგლებში, რომ ამით გამოსწორებული იქნეს ყველა სტუდენტების ცოდნის ხაზი მათემატიკაში.

საერთოდ სტუდენტები მეცადინეობენ 8 საათს. ამათგან 4 საათს სწარმოებს ოფიციალური მეცადინეობა და 4 საათს დამოუკიდებელი მუშაობა.

საერთოთ სტუდენტები სერიოზულად ეკიდებიან თავის სამუშაოს.

ფაკულტეტი უზრუნველყოფილია კვალიფიციურ ლექტორთა ძალებით უმთავრესად საერთო განათლების საგნებში. ეკონომიურ გეოგრაფიას და კულტურის ისტორიას კითხულობს დიდათ კვალიფიციური მარქსისტები. სწორეთ ეს ორი საგანია მთავარი, რომლის გარშემო თავს იყრიან დანარჩენი საგნები.

სწავლების მეთოდები.

დღევანდელ მომენტში სიმძიმის ცენტრი გადატანილია პრაქტიკულ სანიმუშო სამუშაოზე და ლექციების და სემინარიების შეფარდება ასეთია, როგორც 1 : 2 : 3 : 4 მუშაობა სწარმოებს დამოუკიდებლადაც და საუბრების, დისკუსიების, მოხსენებების, რეფერატების და სხვ. სახითაც.

მუშაობის მეტი წარმატებისათვის ყველა საგნებში ეწყობა კაბინეტები. მაგრამ ამ ჟამადაც მუშაობა საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო საგნებში კაბინეტებში სწარმოებს, რისთვისაც გამოყენებული არიან საქართველოს სხვა სასწავლებელთა კაბინეტები და საქართველოს მუზეუმი ექსკურსიისათვის. საკუთარი კაბინეტების მოწყობა დამთავრდება შემოდგომისათვის, ე. ი. საზოგადო-პედაგოგიურ ფაკულტეტის მეორე სემესტრის დასაწყისში.

ეწყობა ფიზიკური და ქიმიური კაბინეტები და ლაბარატორია, ბიოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც იქნება სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტსა და მუშათა ფაკულტეტებთან ერთად. ინსტიტუტი მოეწყობა სასწავლო, სამეცნიერო და საგამოკვლევო მუშაობისათვის, რისთვისაც ექნება არა მარტო კარგათ მოწყობილი კაბინეტები, ანატომიური მუზეუმი, აკვარიუმი და სხვა, არამედ სპეციალური განყოფილებანი წყალთა—საგამოკვლევო მუშაობისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე ჩამოსულ მეცნიერთათვის. ეწყობა კაბინეტები სხვა საერთო საგანმანათლებლო და სოციალ-პოლიტიკურ საგნებისათვისაც. მუშაობა უკვე სწარმოებს და შემოდგომიდან ყველა საგნები გაივლიან დემონსტრატიული და ილიუსტრაციის გზით.

გარდა ამისა ეწყობა ბიბლიოთეკა 40 ათას ტომათ. უკვე ამ ჟამად არის 15 ათასი ტომი, რომელიც გადავიდა ცენტრალურ საბჭოთა პარტიულ შკოლიდან, 8 ათასი ტომი, რომელიც გამოწერილია მოსკოვიდან. დანარჩენი 15—20 ათასი ტომი შეიკრიბება პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებათა შემოწირულების სახით, კერძოთ დიდ სამუშაოს ასრულებს სახალხო განათლების კომისარიატი ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკის შესავსებლად. განსაკუთრებით ვრცელი იქნება მარქსისტული ლიტერატურა. როგორც საერთო-საგანმანათლებლო ისე სოციალურ საგნებში სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან თითო წიგნით 2—3—4 კაცზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 30 დიდი აუდიტორიის გარდა, არის 70 ოთახი სტუდენტების დამოუკიდებლად სამეცადინოთ. თვითეული ოთახი ეძლევა 7—8 კაცს, რომელნიც მუშაობენ კოლექტიურად.

პარტიული მუშაობა.

კომიაჩეიკას ჰყავს 100 კაცზე მეტი, უმთავრესად საზოგადო-საპედაგოგიო ფაკულტეტის თანამშრომლებისაგან, ხოლო ახალგაზრდათა კომკავშირის იაჩეიკას—100 კაცი, რომელთა უმრავლესობას შეადგენენ სექტორებიდან. იაჩეიკა წარმოადგენს შეკავშირებულ მეგობრულ ერთეულს. შედგენილია წრეები 15 კაცისაგან, აქედან 8 კაცი პარტიის წევრია და 7 ახალგ. კომკავშირის. წრეები მართავენ სხდომებს ერთიან პარტიულ დღეს და იმუშავებენ დისკუსიების წესით სტრატეგიის და ტაქტიკის საკითხებს.

საკლუბო მუშაობა.

კლუბი მოეწყო 3 კვირის წინად. საკლუბო მუშაობა მიმდინარეობს უმთავრესად წრეებში, რომელთაგანაც ნაწილი უკვე მუშაობს, ნაწილი კი ეს არის ეწყობა. იქმნება შემდეგი წრეები: დრამატიული, რუსული და ქართული, ანტირელიგიური პროპაგანდის, სააგიტაციო, საგაზეთო, წიგნებზე სამუშაო, მომღერალთა გუნდის, კოლექტიურ დეკლამაციის, სახატვრო ხელოვნების, რიტმის და პლასტიკის, ჯერჯერობით ქალებისათვის, მომავალში კი მამაკაცებისათვისაც, რომელთა შორის იქნებიან მსურველები.

ლენის ამბების წლის თავზე გაიმართა როტმისტრ ტრეშჩენკოს გასამართლების ინსცენიროვკა. სცენარი ნაწილობრივ შემუშავებულ იქნა სტუდენტების მიერ.

ყოველ კვირაობით იმართება თვითმოქმედების საღამოები. საღამოების მიზანია მთელი სტუდენტური მასის ერთ მჭიდრო ოჯახში გაერთიანება.

ნახევარზე მეტი სტუდენტობა ჩაბმულია საკლუბო მუშაობაში. ხელს უშლით ბინის სივიწროვე და სტუდენტების მუშაობით დატვირთვა.

ამიერ-კავკასიის ქალთა ყოფ. ინსტიტუტის შეკეთებულ სადგომში კლუბს ექნება დარბაზი. მაშინ მუშაობა გაცხოველდება. სტუდენტების გატაცება საკლუბო მუშაობით დიდია.

სამხატვრო ხელოვნების წრემ—მოაწყო ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში, სადაც ადგილობრივ აწარმოეს დახატვა და შემდეგ წრის წევრებმა აღადგინეს სურათი მეხსიერებით.

მისტიციზმი ქართულ პოეზიაში

III

როგორც ავღნიშნე*) სიმბოლიზმი დიდი ქალაქის პირმშო შვილია. ამიტომაც მისი ნიადაგი იქ არის, სადაც კაპიტალიზმმა თავის „მორალური" ბუნება პრაქტიკულად გაშალა. საქართველოს სინამდვილეში კი სიმბოლიზმი აუცილებლად გაუპოხიერებელ ნიადაგს ხვდება: აქ არ არის მოცემული კაპიტალიზმი მთელი თავისი „მორალური" ატრიბუტებით: აქ სხვა და სხვა ისტორიულ და ეკონომიურ პირობების გამო—არ შექმნილა დიდი ქალაქი ბურჟუაზიულ ყაიდაზე. ასე რომ ის, რაიც შეადგენს სიმბოლიზმის სულსა და გულს. რისი „ესთეტიურ" თვისებაში სიმბოლისტები პოულობენ თავდავიწყებისა და „ღვთიურ ცეცხლის" განცდის შესაძლებლობას—ჩვენს სინამდვილეში ისე მკაფიოთ არ გამოჩენილა. როგორც კაპიტალიზმის დიდ ქალაქებში: ნიუ-იორკში, პარიზსა და ლონდონში.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ლიტერატურული საქართველო ყრუთ შეხვდა სიმბოლისტების პოეზიას, მიუხედავად იმ დიდი ხმაურობისა და ყალბი ექსტაზით, რითაც დახასიათდა მისი ხელოვნურად გადმონერგვის პროცესი საქართველოში. ამიტომაც არის, რომ სიმბოლისტური პოეზია არ სცილდება თავის რაოდენობით უმნიშვნელო ინტელიგენტთა ჯგუფს.

როგორც საზოგადოთ ყოველგვარ მოვლენაში, ისე სიმბოლიზმშიაც უარყოფით მომენტებთან ერთად არის დადებითი მომენტებიც. მისი უარყოფითი მხარე—როგორც პირველ წერილში ვლაპარაკობდი, ლოღიკური დასკვნა მისი, როგორც **მიმართულების, როგორც შკოლის** ამორალური ესთეტიზმი მთელი თავის თეორიული ბუნებით და პრაქტიკული დასკვნებით—აი რა შეადგენს სიმბოლიზმის პრინციპიალურ სიყალბეს. ამორალური ესთეტიზმი ფსიქოლოგიურად ჰქმნის ადამიანში **პასიობას,** აჩლუნგებს მასში რევოლიუციონურ ბრძოლის წყურვილს, ჰქონიერებს ნიადაგს პესიმიზმსა და მისტიციზმს და მით სოციალურად ჰქმნის კონსერვატიულ ფსიქოლოგიას. ამ რიგად **პასიობა, სტატიკა,** მისტიკა—ლოღიკური დასკვნაა იმ ესთეტიური კულტის, **რისი კონკრეტი** შინაარსი ბურჟუაზიული **წყობილების** განსხეულებული სინამდვილის **მთლიანობა.** მთლიანობა როგორც პროცესი, როგორც დინამიურობა. ეს ორი მომენტი—დინამიურობა და მთლიანობა—უნდა ახასიათებდეს პოეტურ ინტუიციას, პოეტურ შემოქმედების თემას. **მოვლენის მთლიანობაში და მის დინამიურ ათვისებაში უტყუარი შესაძლებლობაა ადამიანის ფსიხიკის დამუშავებისა დადებით მიმართულებით.** სწორედ ამ აუცილებელ პირობებს მოკლებულია ქართული სიმბოლიზმის თემა, რის გამო ის ძლიერ შორსაა საღ ესთეტიურ პოეზიისაგან. მოვლენის მთლიანობაში ათვისებას თხოულობს შინაგანი ლოღიკა პოზიტიური ესთეტიკისა: პოეტური შემოქმედება მაშინ შეიძლება დარჩეს ესთეტიური, თუ ის აღვივებს ადამიანში **ბრძოლის წყურვილს,** რომელშიც თვისებური რითმაა, ხოლო რითმი კი—ესთეტიურ ემოციათა საფუძველია. მოვლენათა დინამიში—მშვენიერების საფუძველია. ეს ძირითადი თეზისი ლოღიკური დასკვნაა ბიოლოგიური ფსიქოლოგიის, რომელზედაც შენდება პოზიტიური ესთეტიკა.

სიმახინჯის კულტი სიმბოლისტურ პოეზიაში სტატიკით ხასიათდება. აქ არ არის მოცემული მოვლენათა დინამიური გაშლა.

ეს რეალური ფაქტი—სიმახინჯე—ერთ-ერთი ელემენტია იმ სისტემის, რომელშიც ცენტრალურ მომენტს ამ სისტემის მაშლელ, დამნგრეველ ძალას უკავია. ამიტომაც თანამედროვე სინამდვილის მძლავრი პროგრესიული ტენდენციები ამ ცენტრალურ მომენტში სახიერდება. ეს კი ის ემპირიული მოვლენაა, რომელიც პროლეტარიატის, როგორც პროგრესის და ცხოვრების ახალი ფორმების სუბიექტის, სახელთანაა დაკავშირებული. ამის გამო პოეტური შემოქმედება უნდა გახდეს ქარხნის ჰანგების მხატვრული ემანაცია, რათა მან შესძლოს მთლიანობის დინამიური ათვისება.

მაგრამ ქართული სიმბოლიზმი უმღერის **მხოლოდ** სიმახინჯეს—თანამედროვე ბურჟუაზიული სინამდვილის ამ ერთ-ერთ მომენტს—და უმღერის არა სხვა მომენტებთან დაკავშირებით, არა დინამიურად, არამედ განკერძოებულად, სტატიკურად. ამ მხრივ **სიმბოლიზმის ბუნება—განხილული მეცნიერული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით მეტაფიზიკური ხასიათისაა**

ასე ამ რიგად, შინაარსის სიღატაკე არა უშინაარსობაშია მდგომარეობს, არამედ იმ პირობების უარყოფაში, რასაც თხოულობს მოვლენათა ათვისების შინაგანი ბუნება.

სიმბოლიზმი ღატაკი შინაარსით. ამ ფაქტმა ის შეაცურა მისტიციზმში. მაგრამ მას—სიმბოლიზმს—ფორმის სიმდიდრე ახასიათებს. ამაშია მისი დადებითი მხარე.

ფორმა, როგორც აღვნიშნე, რითმაში სახიერდება. ლექსის ტეხნიკის გამშვენიერება უმაღლეს ხარისხამდის აიყვანეს სიმბოლისტებმა. ადამიანი აუცილებლად ესთეტიურ გრძნობას განიცდი მათი პოეტური შემოქმედებისაგან; რასაკვირველია ეს განცდა არ არის ღრმა, სოციალურ პროგრესის თვალთსაზრისით, ის ეფემერულია და მხოლოდ „ფორმალური", მაგრამ მიუხედავათ ამისა მათი პოეტური შემოქმედების განსხეულების მშვენიერი ტეხნიკა—უდაო ფაქტია. ეს ფაქტი იმდენად ძლიერია, რომ მათ სრული უფლება ჰქონდათ ეთქვათ (და კიდეც სთქვა ეს ერთმა ცნობილმა სიმბოლისტმა): „ჩვენ დავამარცხეთ რუსთაველიო".

აი ნიმუშები მათი ელასტიური ტეხნიკის:

1. „... უკარებელი. მიზანტროპი. **განდაყუდრული.**
ხავსის ფერჯანზე მისი ხატი სქლად **მოწყვეტილი.**
სოფელში ცოცვით მკერდზე **თეთრად გადაცვეთილი.**
ჩუმი. გვერდული. ალმაცერა. **ცქერა ქურდული...**"

გრ. რობაქიძე.

2 „... ჩემს სულს ასარკებს მოგონება **ცხელი ასულის.**
ფატმან ხათუნი ელანდება **ძილში ხარბ თვალებს.**
მიყვარს ეს ლანდი, მაშინ კი როცა მაწვალებს
შეიძლებოდეს დაბრუნება ნეტა წარსულისა. ."

ტიციან ტაბიძე.

ყველაზე ახალგაზრდა ქართველ სიმბოლისტებში **რაჟდენ გვეტაძე** ჰხიბლავს ადამიანს თავის შემოქმედებაში ლამაზ და ესთეტიურად გამოკვეთილი ფორმით მისი ლექსების ტეხნიკაში რაღაც ჩუმი შინაგანი სიამაყეა:

3. „... უმედურება გველის ყველას, ვიცი **ეფუთით,**
ხშირად **უცნობი** მორიდებით **საწამლავს მასმევს.**
ნაღვლიან თვალებს დამიბრმავებს **ვერცხლის ხეზუთით**
ის ცოლის თმებით გამიკეთებს **დასახჩობ თასმებს...**"

რაჟდენ გვეტაძე.

თავისი ელასტიური ტეხნიკით სიმბოლისტებმა „მოაჯადოვეს" თითქმის ყველა პოეტები. ჩვენი პროლეტარული პოეტებიც განიცდიან მათ ძლიერ გავლენას. **იონა ვაკელი** თავის პოემას „მსოფლიო ელის" ჰქმნის **ვალერიან გაფრინდაშვილის** ძლიერი გავლენის ქვეშ. **სანდრო ეულს** ემჩნევა ტენდენცია საკუთარ გზაზე შედგომისა ფორმების გაუმჯობესების საქმეში, მაგრამ სავსებით მაინც ვერ განთავისუფლდა მათ გავლენისაგან. **პეტრე სამსონიძე** სცდილობს გადმოიღოს მათი ტეხნიკა, მაგრამ ვერ ახერხებს; მისი პოეზია ღატაკია ფორმით, რის გამო სამსონიძის შემოქმედებას აზის მშრალი პუბლიცისტიკის იერი.

სიმბოლიზმის დადებითი მომენტი ვერ ამოსწურავს მთლიანობას, რისთვისაც სიმბოლიზმი ფორმალურ ესთეტიზმის აპოლოგიაა. ფორმალური ესთეტიზმი ეფემერული განცდაა ჩვენი სულიერობის და სოციალურ დასკვნების მიხედვით უძლურია ადამიანის ფსიხიკის წარმართვაში დადებით მიმართულებით. ქართული სიმბოლიზმი, როგორც შკოლა პირდაპირის გზით მისტიციზმისაკენ მიიმართება. ამიტომ მას უარყოფს ბრძოლის პოეზია, პოეზია დინამიკის, პოეზია ახალი ცხოვრების.

სიმბოლიზმი, როგორც **მეთოდი** უნდა გაიზიაროს პროლეტარულმა შემოქმედებამ. სიმბოლიზმი, როგორც მეთოდი ესთეტიური შემოქმედების სულია, მაგრამ მას, როგორც მიმართულებას უნდა დაუპირდაპირდეს პროლეტარული პოეზია. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ლიტერატურულ საქართველოში.

IV

თანამედროვე ხანა არა მარტო პრაქტიკული ბრძოლის ეპოქაა; მეოცე საუკუნემ არა მარტო სოციალურ შეჯახებათა ფრონტი გაშალა...

ჩვენს საუკუნეში ბრძოლა შემეცნების სფეროშიაც გადავიდა. რასაკვირველია ეს იდეათა ბრძოლა მუდამ არსებობდა, მაგრამ მან მკვეთრი ფორმები განსაკუთრებით დღეს მიიღო, რაიც აიხსნება იმ გარემოებით, რომ სამყარო განიცდის დღეს გაუგონარ რევოლიუციონურ წვას, რომლის პოტენციალური მდგომარეობა მძაფრი სიძლიერით აქტუალურად მჟღავნდება. ფილოსოფია და ხელოვნება—აი ის ასპარეზი, სადაც სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი იდეათა შორის.

ამიტომაც სრულიად ბუნებრივია ის, რომ ქართველ სიმბოლისტების ძლიერი ფრონტის წინააღმდეგ უნდა გაშალოს პროლეტარულმა შემოქმედებამ თავისი ფრონტი, თავისი ესთეტიური ბუნება. მაგრამ საზოგადოთ ბრძოლაში გამარჯვების მთლიანობის მიღწევა ჰგულისხმობს ორ მომენტს: კრიტიკას და შემოქმედებას. ასეა პრაქტიკულ ცხოვრებაში, ასეა იდეათა სამყაროშიც. მეცნიერული მიხწევა ნიშნავს ძველის, უვარგის ბუნების მხილებას, მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ახალი შემოქმედება. **კრიტიკა—წინამძღვარია შემოქმედების,** ამას თხოულობს ლოღიკურად მოვლენის მეცნიერულად სრულქმნის შესაძლებლობა. მაგრამ საზოგადოთ ესთეტიკაში და კერძოთ კი პოეზიაში ეს ორი მომენტი ერთს მომენტში თავსდება; ამით რასაკვირველია გამარჯვების მთლიანობას არავითარი საფრთხე არ მოელის.

როგორია ეს მომენტი? ზევით თითქმის სავსებით არის ამოწურული ეს საკითხი.

ობიექტიურად ჩვენს წინ გაშლილი მოვლენები წარმოადგენს თავისებურ სისტემას. და ეს იმდენათ, რამდენათ, თითოეული მათგანი აუცილებლობის შინაგანი ლოღიკით ურთიერთ შორის კავშირს აბამენ და მით შეუძლებელათ სახავენ მოვლენის განკერძოებულ არსებობას ამ რიგად სამყარო არ წარმოადგენს განკვეთილ მოვლენათა უბრალო ჯამს. მართალია კოსმიური მოვლენები ერთგვარი კრებადობაა, მაგრამ არა ხელოვნურ-მათემატიკური, არამედ ბუნებრივ მიზეზობრივი. ეს ფაქტი ნათელ ჰყოფს იმ გარემოებას, რომ ობიექტიური სინამდვილე თავისებური რითმია, რისი პოეტურ შემოქმედებაში ასახვა, როგორც არა ერთხელ ავღნიშნე, ჩვენი სულიერობის ესთეტიზაციაა.

ამ რიგად პოეზია მაშინ შესძლებს ჩვენი ფსიხიკის დამუშავებას, ამ ფსიხიკის კოლექტივიზმის ნიადაგზე დამყნას, როდესაც მისი თემა ობიექტიური რითმის დინამიურობა იქნება. ამ მხრივ საქართველოს პროლეტარული პოეზია, როგორც **მიმართულება** აუცილებლად დამაკმაყოფილებელია. ცეცხლის ხმებით საქართველოს პროლეტარული პოეტები ამჟღავნებენ პროლეტარიატის სულისკვეთებას, მის ფსიქოლოგიურ ინდივიდუალობას. მათი პოეზია აუცილებლად ბრძოლის ყიჟინაა, ბრძოლის მხიარულის და კარგი მომავალის.. მათი ჰანგები ქარხნის ჰანგებია, ხოლო ქარხანა კი ის რეზერვუარია, რომლის აფეთქებით იწყება დაუღალავი ბრძოლა ცხოვრების ახალი ფორმებისათვის. ქარხანა ისტორიული მიმდინარეობის ძირითადი ნაკვეთის პრაქტიკული სუბიექტია. ამიტომაც არის, რომ პროლეტარული პოეზია, რომელიც წარმოადგენს ქარხნის შინაგან დუღილის, ქარხნის შინაგან წვის ესთეტიურ ათვისებას—**შინაარსის მხრივ** აკმაყოფილებს პოზიტიური ესთეტიკის მოთხოვნილებას: **ქარხანაში მოთავსებულია თანამედროვე წყობილების მთელი საიდუმლოებანი:** ამ ქვეყნის არსებობის და მოსპობის რეალური შესაძლებლობანი. ამ შესაძლებლობათა გაშლაში ისმის ცეცხლის ხმები, ხოლო

„ცეცხლის ხმები დასწვავს ჰაერს
და გარდაქმნის მას სხვაგვარათ
ცეცხლის გრიგალს აამღერებს
საქართველოს გასახარად"...

პეტრე სამსონიძე ამ სიტყვებით ამხელს პროლეტარიატის იმ შინაგან სიძლიერეს, რისი მეოხებით მეოთხე წოდება „გააჩაღებს ცეცხლის კოცონს", რომ ფერფლად აქციოს თანამედროვე მყრალი წყობილების ძირითადი საძირკვლები. რწმენა უკეთესი მომავლისადმი პროლეტარულ პოეტებში მტკიცე და ურყევია. ამ მომავლისათვის ბრძოლაში ისინი ხედავენ თავისებურ პოეზიას, თავისებურ რითმს. ამ უკანასკნელის ესთეტიური ათვისებაში პროლეტარული პოეზია განიცდის შინაგან წვას, რაც აუცილებლად მის სოციალურ ბუნებას აკეთილშობილებს.

სანდრო ეულს სწამს, რომ ამ ქვეყნად მარადი არაფერია, რომ ყველაფერი განიცდის ცვლილებას რომ წარსული ცხოვრება არ განმეორდება:

„...განვლილ ცხოვრების ვითარება
არ გაორდება
ძველი სამყარო დაიკვნესებს
და აოხრდება"...

დიადია ბრძოლა მომავლისათვის; ეს სიდიადე არ იჩრდილება იმ შესაძლებელ დაბრკოლებათა, რომელსაც ბუნებრივად ხვდება მებრძოლი და რომელიც ხშირად მსხვერპლად იწირავს მას:

„...მოვეშურებით შენსკენ სიმღერით
ეგებ კლდეებზეც გადავიჩეხოთ,
მაგრამ შიშს ვიქრობთ მედგარი რწმენით,
რომ გეამბოროთ, ტრფობით შეგეხოთ"...

ბრძოლის სიმტკიცე, ფოლადისებური ნებისყოფა, თავდადება კარგი მომავლისათვის, რაიც პროლეტარიატის პრაქტიკული მოღვაწეობის ატრიბუტებს შეადგენს—აი რა გამოხატა პროლეტარიატის მგოსანმა **სანდრო ეულმა** ზემო ნათქვამ სიტყვებში.

საქართველოს პროლეტარული პოეზიის ძირითადი მოტივი ცხადი და ნათელია; **ქარხნის ჰანგები** ჰქმნიან ფსიქოლოგიის კოლექტივიზაციის შესაძლებლობას; აქ მოცემულია მთლიანობაც. მოცემულია დინამიურობაც. **ამ მხრივ** საქართველოს პროლეტარული პოეზიის წინაშე უძლურია ქართული სიმბოლიზმი.

პროლეტარული პოეზია მდიდარია შინაარსით, მაგრამ სუსტია მისი ფორმა. ჩვენმა პროლეტარულმა პოეტებმა ვერ შესძლეს ტეხნიკის ესთეტიური ძოვნა.

ფორმის მხრივ სუსტია **პეტრე სამსონიძის** შემოქმედება.*) მისი პოეზია უფრო მშრალი პუბლიცისტიკის შთაბეჭდილებას ახდენს.

რამდენათ მისაღებია სამსონიძის შემოქმედების თემა, იმდენათ მიუღებელია ამ თემის განსახიერების ფორმა.

პროლეტარულმა პოეზიამ უნდა მოიმარჯვოს ხელთ სიმბოლიზმი როგორც მეთოდი, რომ მან დასძლიოს სიმბოლიზმი როგორც **მიმართულება, როგორც შკოლა. სამსონიძემ,** ისე როგორც **ეულმა,** მკაფიოთ დასახა თემა თავის შემოქმედებისა. ამ მხრივ ეს მართლაც საუკეთესო სიმპტომია მისტიციზმის ფრონტის დაშლისა და დამარცხების. მაგრამ ეს არის მხოლოდ სიმპტომი, მოვლენა პოტენციალური, რაიც ცოცხალი ფაქტათ იქცევა იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარული პოეზია განითავისუფლებს თავს პუბლიცისტიკური **ფორმისაგან.**

შ. დუდუჩავა.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 84.

*) მე არ ვეხები იონა ვაკელს, რომელიც ჩემის აზრით ნიჭიერი პოეტია; მისი ლექსთა კრებულის გამოცემის შემდეგ საშუალება მექნება შევეხო ი. ვაკელის მიღწევებსაც ფორმის გაუმჯობესების საქმეში.

უცხოეთის ცხოვრება

გერმანია

საქსონია საბჭოთა რეჟიმის მოლოდინში

საქსონიის პრემიერ-მინისტრის დეკლარაცია.

ეს დეკლარაცია, რომელიც გამოქვეყნებული იყო საქსონიის ლანდტაგის (ადგილობრივ პარლამენტის) სხდომაზე, არის „საქსონიაში საბჭოთა რეჟიმის“ წინამორბედი. როგორც ვიცით, საქსონიაში არის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომელსაც ადგილობრივმა კომუნისტებმა აღუთქვეს დახმარება, რისთვისაც მთავრობამ იკისრა საერთო პროგრამის გატარება.

სოციალ-დემოკრატების დაპირებანი.

როგორც ახლა ხან გამოქვეყნებული დეკლარაციიდან სჩანს, ჯერ-ჯერობით **საქსონიის სოციალ-დემოკრატები ასრულებენ თავიანთ დაპირებას.** დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მთავრობა ყოველივე ძალ ღონეს იხმარს იმისათვის, რათა ხელი შეუწყოს კაპიტალისტური სისტემის კოლექტიური მეურნეობის სისტემით შეცვლას.

სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

შემდეგ საქსონიის პრემიერი **ენერგიულად იცავდა პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაციას,** თუმცა ამავე დროს მან ფრთხილად აუხვია გვერდი იმას, რომ პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაცია უნდა შესდგებოდეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატებისაგან, თუ სოციალ დემოკრატებისა და კომუნისტებისაგან, როგორც სჩანს, საქსონიის პრემიერი ჯერ-ჯერობით ასრულებს თავის დაპირებას, მაგრამ საქსონიის კომუნისტები მაინც დიდ სიფრთხილეს იჩენენ.

ის ახლაც უნდა იყოს.

და ის ასეც უნდა იყოს, ვინაიდან გერმანიის სხვა ადგილებში სოციალ-დემოკრატები საბოტაჟს უცხადებენ ერთიან ფრონტს და კომუნისტებისაგან დამოუკიდებლად აარსებენ პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაციებს.

გერმანია და ანტანტის ვალები

ანტანტის ქვეყნებს დიდი ვალები მართებთ შეერთებული შტატების. თუ ვიანგარიშებთ შეერთებულ შტატების მცხოვრებთ 100 მილიონად, აღმოჩნდება, რომ ანტანტის იქეთა რესპუბლიკის თვითეული მოქალაქე მიუხედავათ სქესისა და ჰასაკისა, არის ანტანტის კრედიტორი 110 დოლარით. ამერიკელები არ იჩენენ მიდრეკილებას ჩამოსწერონ ევროპის ასეთი დიდი ვალი მაგრამ გაღატაკებულ ევროპას არ შეუძლია ამ ვალის გადახდა. ყველა მოვალეებიდან მხოლოდ ინგლისს აქვს განზრახული გადაუხადოს ვალი ამერიკას.

შტატების ექსპორტი ევროპაში უკანასკნელ 9 წლის განმავლობაში (1914—1922 წ.) 23 მილიარდ დოლარს აღემატება იმპორტს ინგლისის გარდა, არც მოვალე ქვეყანას არ შეუძლია დაფაროს განსხვავება სავაჭრო ბალანსში ოქროთი.

ვალების გადახდამ უნდა გამოიწვიოს ამერიკულ საქონლის მოთხოვნილების შემცირება ევროპის მხრივ. ამავე დროს შეერთებულ შტატების სამეურნეო კავშირი ევროპასთან ყოველ წლობით ვითარდება. თუმცა 1913 წელში (ომის წინიწადი) ევროპაში ექსპორტი შეადგენდა 71 პროც.-ს მაგრამ 1922 წელშიაც იგი კიდევ ვერ აღწევს 53 პროც.-ს. აბსოლიუტურ ციფრებში ევროპა ომამდე იძენდა ამერიკისაგან 1—1 ნახ. მილიარდ დოლარის საქონელს, ხოლო 1921 წელს 4 ნახ. მილიარდ დოლარის. ყველა ცნობები ამტკიცებენ იმას, რომ ევროპა, როგორც წინად იქნება ყველაზე უკეთესი მუშტარი ამერიკის.

საკითხი ვალების გადახდის შესახებ დამთავრდება ამგვარად, ბრძოლით ამერიკელ და ევროპის გადასახადების გადამხდელთა შორის: ან ამერიკა ჩამოსწერს ვალებს და მაშინ ამ ვალებს გადაიხდის შეერთებულ შტატების მცხოვრებნი, ან და თუ დაჟინებით მოითხოვს იგი ვალების გადახდას, ეს ვალები მძიმე ტვირთათ დააწვება ანტანტის ქვეყნებს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

რეფორმისტები უკმაყოფილონი არიან პროლეტარიატით.

19—21 მარტს სხდომები ჰქონდა რეფორმისტული კონფედერაციის ნაციონალურ კომიტეტს. კრებამ სამი დღე მოანდომა იმ ამოცანების განხილვას, რომლებიც წამოაყენა საფრანგეთში მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებამ. საგაფიცვო მოძრაობის ტალღებისათვის საფრანგეთის შიგნით ძლიერ გამწვავებული საგარეო მდგომარეობა, რურის ოკუპაცია—ყველაფერი ეს იძლეოდა საბაბს ნაციონალური კომიტეტის სესიის ხანგრძლივობისათვის.

ნაციონალურმა კომიტეტმა გამარტივა თავისი ამოცანები. საერთაშორისო მდგომარეობის და რურის ოკუპაციის შესახებ მას კრიტიკა არ დაუძრავს, ხოლო სამუშაო ხელფასისათვის მუშების ბრძოლის საკითხებს ის მიუდგა თავისებურად: უარჰყო უნიტარული კონფედერაციის წინადადება მატერიალური მდგომარეობისა და სამუშაო ხელფასის გაუმჯობესებისათვის შეთანხმებული ბრძოლის შესახებ. ყველაზე უფრო რეფორმისტების პოზიცია გაარკვია კომუნისტურმა გაზეთმა „იუმანიტემ“, რომელმაც განაცხადა, რომ რეფორმისტებს არ სურთ არც ერთიანი ფრონტი, არც ბრძოლა სამუშაო ხელფასისათვის საფრანგეთის პროლეტარები ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში საკმაოდ მომწიფდნენ და ისინი არ დაუშვებენ იმას, რომ მათი ხელმძღვანელობა მიანდონ ერთ მუჭა უპრინციპო ავანტიურისტებს და „მცირედი საქმეების“ მოყვარულებს, ამას ინსტინქტიურად გრძნობენ რეფორმისტული მოძრაობის ყველა ხელმძღვანელები.

რეფორმისტული კონფედერაციიდან უკვე იწყებენ გამოსვლას ზოგიერთი, უფრო გამოჩენილი მისი „მოღვაწეები“ გამოვიდა ზოგიერთი, მაგრამ „ერთგული“ თანამებრძოლი ამ ხელმძღვანელი ხროვის ლორანი, გავიდა თვით დიუმულენი, რომელიც იყო კონფედერაციიდან რევოლიუციონური, ელემენტების გამორიცხვის კამპანიის გამომწვევი და საფრანგეთის პროფესიონალური მოძრაობაში განხეთქილების შემტანი. ხოლო თვით ჟუოს, რომელიც 1912 წლიდან იყო კონფედერაციის ერთგული გენერალური სეკრეტარი ეჩნევა კონფედერალური მართვა გამგეობისაგან თავის დახწევის ტენდენცია.

დიუმულენს ძლიერ სთხოვდენ დარჩენილიყო, მაგრამ ამაოდ. „მე დიდ პატივს არ ვსცემ იმეთ პროლეტარიატს“, განაცხადა მან (მას სახეში ჰქონდა ქალაქ მენცის პროლეტარიატი), რომელიც ფუშტვენით შეხვდა „თვით ჟუოს“.

დიუმულენი მართალია: საფრანგეთის პროლეტარიატი დიდ პატივს არ სცემს კონფედერალურ მანდარინებს და არჩევს მიანდოს თავისი ბედი ახალ ძალებს, საბოლოოდ გამეშჩანებულ ძველ ბიუროკრატების ნაცვლად. დიუმულენი უკმაყოფილოა პროლეტარიატით: ის მას შორდება. პროლეტარიატი უპასუხებს: გზა მშვიდობისა.

აჯანყება მოლდავეთში.

ვენა 18 აპრილი. რუმინეთის მთავრობის მიერ მიწის ნაჭრების უსამართლოთ განაწილების გამო მოლდავეთის გლეხებში აჯანყებამ იფეთქა.

მთავრობის დამხობამდი.

ვენა 18 აპრილი. რუმინეთის ოპოზიციონური ბლოკი აქტიურ ბრძოლაზე გადავიდა მთავრობის მიმართ, ბუქარესტში მასიურ მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია სასტიკი ბრძოლის წარმოების შესახებ მთავრობის დამხობამდი, მიტინგის შემდეგ დემონსტრანტებსა და პოლიციის შორის შეტაკება მოხდა. მრავალი დაიჭრა, მათ შორის ყოფილი მინისტრი პოპოვიჩი.

რევოლიუციის მებრძოლთა დახმარება.

მოსკოვი. 21 აპრ. რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე კომიტეტმა ამერიკის მუშებისაგან მიიღო 4300 დოლარი გერმანიის რევოლიუციონერების ბავშვების სასარგებლოთ

ლოძის მუშები კომუნისტებთან არიან.

მოსკოვი. 21 აპრილი. ლოძში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პოლონეთის სეიმის კომუნისტმა დეპუტატმა კრულიკოვსკიმ მუშები აღფრთოვანებით შეხვდენ თავის დეპუტატს და მიიღეს კომუნისტების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

გორის მაზრა.

ცეკავშირის კონსერვების ქარხანა.

გორი 4 აპრილი. ცეკავშირის კონსერვების ქარხანა გორში ვერ მუშაობს მთელი წლის განმავლობაში, ვინაიდან ქარხნის შენობა სათანადოდ მოწყობილი არ არის. ადგილობრივ კოოპერატიული ორგანოების ახალმა შემადგენლობამ ყურადღება მიაქცია ამ მდგომარეობას და 5000 მანეთი გადადვა ოქროთი ქარხნის გასაფართოებლათ. ქარხანა გადატანილია ახალ შენობაში, რომლის შეკეთება სწარმოებს; შენობის შეკეთებას და აგებას ხელმძღვანელობს გამოცდილი არქიტექტორი. ფაბრიკის შენობა მისი მანქანებით წარმოადგენს კონსერვის წარმოების ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას. წარსულ სეზონში ქარხნის გამომუშავება უდრიდა 2000 ფუთს. ამ ჟამად კი, ქარხნის შეკეთების შემდეგ, ეს ციფრები შესაძლოა გაიზარდოს 30.000 ფუთამდი წელიწადში და საშვალებები და ნედლი მასალა დარჩა—60.000 ფუთამ. ქარხნის გახსნა ახალ შენობაში განზრახულია პირველი მაისს. ქარხნის წარმოების საგანს შეადგენს: კონსერვები ხილის, ბოსტნეულის, ხორცის, მშრალი ფაბრიკატები, მშრალი ხილი და ბოსტნეული. ნარჩენების გამოსაყენებლათ ეწყობა სამეძარეო ქარხანა (винокур. завод). ქარხანას თავის განკარგულებაში აქვს 5 დესეტინა ბოსტანი და აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის საჩვენებელი ბაღი. ქარხანას ხელმძღვანელობს გამოცდილი სპეციალისტი, რომელმაც კონსერვების დამზადების საქმე შეისწავლა გერმანიის საუკეთესო ქარხნებში. ყველა ეს პირობები, ეჭვს გარეშეა, ხელს შეუწყობენ, რომ გორის ქარხანა გადაიქცეს ჩვენი მრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგათ.

სენაკის მაზრა.

გაზეთი „კომუნა“.

ახალი-სენაკი. 19 აპრილი. სამაზრო პარტიული კომიტეტის პლენუმის დადგენილებით, პირველი მაისიდან ახალ სენაკში გამოვა ყოველ-კვირეული გაზეთი „კომუნა“, ადგილობრივი პარტიული კომიტეტის და აღმასკომის ორგანო.

პედაგოგიური კურსები.

ახალი სენაკი. 19 აპრილი. განათლების განყოფილებაში მუშავდება პროექტი წითელი პედაგოგებისათვის ორ-თვიანი კურსების მოწყობის შესახებ.

აბაშის ტეხნიკუმი.

აბაშა. 19 აპრილი. აბაშაში დიდი ხანია არსებობს სრულ კომპლექტიანი ჰუმანიტარული ტეხნიკუმი, რომელსაც არ ქონდა საჭირო შენობა. მცხოვრებლები შეუდგენ ტეხნიკუმისათვის ახალი შენობის აგებას.

აზერბეიჯანი

ნავთის ფრონტზე

ბაქო. 19 აპრ. 15 და 16 აპრილს ყველა სარეწაოებში ამოიღეს 1,194 ათასი ფუთი ნავთი. აიღეს გამოსახდელად 751,000 ფ., გამოხადეს 739 ათასი ფ., გაწმინდეს 163,000 ფუთი, საბურვაოში იყო 153 დაზგა, გაბურღეს 129 საჟენი.

გასაბჭოების წლის თავი

ბაქო. 19 აპრ. 28 აპრილს შესრულდება აზერბეიჯანის გასაბჭოების 3 წლის თავი. ყველა მაზრებში, თვით ბაქოში, წინა დღით ყველა პარტიულ და მუშათა კლუბებში მოეწყობა მოგონების საღამოები და სანახავები. თვით ზეიმის დღეს დილით შესდგება დემონსტრაციები, ჯარების, საგანგებო რაზმის, საბჭოთა პარტშკოლების და პროლეტარულ ორგანიზაციების ალლუმები; საღამოს—საზეიმო კრებები, სპექტაკლები და კონცერტები. მაზრებში გატარდება უპარტიო გლეხთა კონფერენციები, სადაც აზერბეიჯანის ცენტრალურ კომიტეტის წევრები გამოვლენ მოხსენებით აზერ. ცენტრალურ კომიტეტის მუშაობის შედეგების შესახებ სამი წლის განმავლობაში.

ნავთნაწარმოებთა გაზიდვა

ბაქო. 19 აპრ 15—17 აპრილს გაიზიდა ბაქოდან ასტრახანში 1,085177 ფ. გაუწმენდელი ნავთნაწარმოები, 373,862 ნავთი, 55 064 ფუთი ზეთი, პეტროვსკიდან გაიზიდა კრასნოვოდსკში 71,492 ფ. პარაფინი, ასტრახანში—596,815 ფ.

მუშების დასვენება

ბაქო. 19 აპრ. აზერბეიჯანის ნავთის განყოფილებამ გაადიდა საწოლების რიცხვი ყველა სანატორიუმებში და სამთომადნო მუშათა კავშირის დასასვენ სახლებში, მინერალურ წყლების რაიონებში - კისლოვოდსკში, ესენტუკში და პიატიგორსკში მოაწყვეს 300 საწოლი, დანარჩენი საწოლები განაწილდება ბაქოს მიდამოებში სააგარაკო ადგილებში. სეზონი გაიხსნება 15 მაისიდან 1 ოქტომბრამდე. თითეულ მუშას მიეცემა 2 კვირის ვადა. სულ განზრახულია გაუშვან 35,000 კაცი.

ტყავის მრეწველობა

ბაქო. 19 აპრ. ბაქოს ტყავის მრეწველობა განიცდის მეტად მძიმე კრიზისს. საშინაო მრეწველობა და წვრილი სპეკულიანტები კონკურენციას უწევენ ტყავის განყოფილებას და იგდებენ ხელში მთელ ნედლ მასალას.

პარტიული ცხოვრება

სოფ. გლდანის კომუჯრედი

(ტფილისის მაზრა).

დიდი გლდანის კომიაჩეიკა შესდგებოდა 13 წევრისაგან 1922 წ. პარტიის რიგების გაწმენდის შემდეგ დარჩა მხოლოთ 6 წევრი, სოფ. მამკოდის [illegible] კი რომელშიაც შედიოდნენ 12 წევრნი გაწმენდის შემდეგ დარჩა ერთი წევრი და ის შემოუერთეს გლდანის იაჩეიკას. ოთხი ვერსის დაშორებით ვართ სხვა იაჩეიკებთან და ავჭალის რაიკომიდან სადაც თავს იყრის უმთავრესად მუშები; ჩვენი იაჩეიკა კი შემდგარია მარტო გლეხებისაგან.

ჩვენს გარშემო სცხოვრობს სამას ორმოცდა ათი კომლი გლეხი. გლეხობასთან კარგ განწყობილებაში ვართ და დიდი ნდობის თვალით გვიცქერიან.

გლდანის იაჩეიკამ შესძლო ავჭალის რაიკომის დახმარებით წერა კითხვის უცოდინარების მოსპობა, დაარსდა საღამოს კურსები, სადაც მუდამ ესწრებიან მთელი ახალგაზრდები, ამ მოკლე ხანში დაარსდება პოლიტიკური წრეც. იაჩეიკას ღია კრებებს ესწრება უპარტიო გლეხობაც.

იაჩეიკამ შესძლო დუშეთის და თიანეთის მაზრიდან გადმოვარდნილი ბანდიტების სავსებით მოსპობა „ჩონის“ დახმარებით იაჩეიკის მუშაობამ გლეხებში დიდი ნდობა მოიპოვა. თვეში ორჯერ იმართება სოფლის მიტინგი, სადაც მოდის ქვერაიკომის წარმომადგენელი და სხვა და სხვა თემებზედ აკეთებს მოხსენებას. კვირაში ერთხელ რაიკომის წარმომადგენელი ესწრება იაჩეიკის კრებას.

ი. გ.

ს. ა. ქ. კავშირის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მუშაობა მარტში.

(დასასრული. იხ. გაზ. „კომუნისტი“-ს № 89)

მუშა ახალგაზრდებს შორის, სამაზრო კომიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს პროფესიონალურ ორგანიზაციებთან. კომიტეტს ყავს თავის წარმომადგენელი პროფ ბიუროში და დამზღვევი კასის გამგეობაში. სამაზრო კომიტეტის მიერ გამოყოფილია ერთი მომუშავე შრომის ინსპექტორთან ასისტენტათ, სპეციალურათ მუშა ახალგაზრდობის შრომის დაცვის დარგში სამუშაოდ.

ოთხი და ექვსი საათის სამუშაო დღე გატარებულია. არის დამხმარე კომისია მუშა ახალგაზრდობის მიერ არჩეული. მიღებულია ზომები მუშა ახალგაზრდობის საერთო სახლის გასახსნელათ. შრომის განყოფილებასთან არსებობს მჭიდრო კავშირი. მუშა ახალგაზრდობის სკოლა არის ოთხი. სწარმოებს მეცადინეობა.

პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა. კომკავშირის მაზკომის მიერ საანგარიშო თვეში სააგიტ-საპროპაგანდო ხასიათის შემდეგი კამპანიები იქნა ჩატარებული: პარიჟის კომუნის 52 წ. თავი, მოსამზადებელი კომპანია, კომკავშირის აღდგომა (ანტირელიგიური) კამპანიები ტარდება კავშირის, უპარტიო და წითელი ჯარის ახალგაზრდობასთან ერთად.

კავშირის მასას ამ ხნის განმავლობაში აინტერესებდა პოლიტიკური ხასიათის კითხვები, ორგანიზაციული და სხვ. ამასთან ერთად კავშირის წევრებს ეტყობა დიდი ინტერესი კულტურულ მუშაობისადმი, რაშიაც დიდი ენტუზიაზმით ღებულობენ მონაწილეობას. მუშაობა ამ დარგში იმდენად გაიზარდა, გაფართოვდა და გაღრმავდა, რომ მის ხელმძღვანელობას მაზრის ორგანიზაციის საუკეთესო ძალები ვერ ასდის, მიუხედავათ იმისა, რომ ასეთი ძალები ორგანიზაციას მუდამ საკმაო ყავდა.

ადგილობრივ პარტიასა და განათლების განყოფილებას არ შეუძლია მისცეს კავშირს ამ დარგისათვის საკმაო ძალები, მაგრამ დახმარება მათგან საკმაოთ საგრძნობია ყოველ მხრივ თვით პარტიის სამაზრო კომიტეტის მდივანი მიმაგრებულია კავშირზე და მისი ხელმძღვანელობა დახმარება ძვირფასია უკანასკნელისათვის.

საერთოთ, როგორც პარტია, ისე სახალხო განათლების განყოფილება შეძლების დაგვარათ კავშირს აქცევს დიდ ყურადღებას იდეიური და მატერიალური დახმარების გაწევით.

კავშირის წევრებს შორის პოლიტიკური უცოდინარეობის სალიკვიდაციოთ მაზრაში არსებობს 30 მდე პოლიტ-წრე (პოლიტ-სკოლები უჯრედებთან); საანგარიშო თვეში დაარსებულია 4 პოლიტ-წრე წრის სამეცადინო დრო განსაზღვრულია, მეცადინეობა სწარმოებს კოვალენკოს წიგნით „პოლიტიკური ანბანი“—ბევრ ალაგს სადაც კოვალენკო გაიარეს გადიან ს. წულუკიძის წიგნს „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“, მეცადინეობას ხელმძღვანელობენ კავშირის აგიტატორული მომუშავენი, რომლებსაც ნიშნავს მაზკომი და რაიკომები. დიდი მოთხოვნილებაა ლექტორებისა, განსაკუთრებით კოვალენკოს „პოლიტიკური ანბანის“, ვინაიდან ახალი წრეების დაარსება გრძელდება დიდი სისწრაფით. აქტიური მომუშავეთა მოსამზადებლათ მაზრაში არსებობს 4 მარქსისტული წრე, რომლებსაც ხელმძღვანელობს კავშირის უკეთ მომზადებული წევრები.

წრის უმთავრესი მიზანია შეისწავლოს ჯერ პოლიტიკური ეკონომია და ისტორიული მატერიალიზმი, შემდეგ კი გადავიდეს სხვა სერიოზულ ნაწარმოებთა შესწავლაზე. გარდა ჩამოთვლილ წრეებისა არსებობს მუსიკალური და დრამატიული წრე, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს. სხვა წრეების დაარსება განზრახულია ახლო მომავალში

მაზრაში მუშაობს მუშა-ახალგაზრდობის 4 სკოლა: ხონში ქუთაისში, სამტრედიაში და ტყიბულში. ყველა სკოლებში ირიცხება 308-მდე მოსწავლე ახალგაზრდა, ნოქარ-შეგირდები და მოჯამაგირეები.

სკოლებში გადიან სოციოლოგიურ საგნებს, სკოლების მატერიალურ უზრუნველყოფაზე ზრუნავს პოლიტ-განათლების და განათლების განყოფილება. ასეთი სკოლები საჭიროა გაიხსნას დიდი ჯიხაიშის თემში.

საკლუბო მუშაობა მაზრაში. იქ სადაც კლუბები არსებობს, დამაკმაყოფილებელია. ქუთაისში კლუბების მუშაობა გამოიხატება წრეების, სპექტაკლების, მოხსენების მოწყობაში და სხვა. კლუბი არსებობს, აგრეთვე ტყიბულში. მუშაობა სწარმოებს პროფკავშირთან ერთად. უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი იყო რაიონებში კლუბების უქონლობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ანტი-რელიგიური კამპანია დაიწყო და მან მიიღო მასიური ხასიათი, ეკლესიების დახურვის შემდეგ—შენობები სკოლებისა და კლუბებისათვის საკმაო აღმოჩნდა ბევრ ეკლესიების შენობებში კავშირის მიერ გახსნილია სამკითხველოები, ზოგი კეთდება კლუბებათ.

სამაზრო კომიტეტი სისტემატიურად უშვებს „წითელი ახალგაზრდობის ფურცელს“, რომელშიაც შუქდება კავშირის ცხოვრება და მომავალი მუშაობის პერსპექტივა: ლიტერატურის მიწოდება ადგილებზე სწარმოებს რეგულიარულად. კავშირის მიერ დაარსებულია რამოდენიმე ქოხ. სამკითხველოები.

დასკვნა: საერთოთ ამ საანგარიშო თვეში ბევრი ახალი ნაბიჯები არ გადადგმულა წინ, მაგრამ რაც უმთავრესია, ძველის გაღრმავება განმტკიცება ძლიერი ტემპით ტარდება. მუშაობა ამ მხრით თანდათან ღებულობს დიდ ნაყოფს, რაც იწვევს კავშირისაკენ მშრომელი ახალგაზრდობის უსაზღვრო ლტოლვას. კავშირის მასას ეტყობა გონებრივი განვითარების დონის თანდათან ამაღლება.

ი. ზ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(21 აპრილი)

ოქროს 10 მან.—10,900 ათასი.
გირ. სტერ. — 6,050 ათასი.
დოლარი (ჩეკით) 1,425 ათასი.
ლირა — — — 1,040 ათასი.
საბჭ. ფულის ნიშ. 16,5. ათასი.

ძვირფასი ლითონების კურსი.

21 აპრილს.

ოქრო ლენი—96 სინჯის მისხალი —3 მ. 40 კ., 56 სინჯის—1 მ. 70 კაპ.; ვერცხლი ლენი 84 სინჯის მისხალი—6,75 კაპ.; 1 მანეთი ბანკის—40 კ.; 1 მანეთი ვერცხლის ხურდა—16,5 კ.

ოფიციალური გარიგებანი.

21 აპრილს.

რუსეთის მზესუმზირას ზეთი—105 მან. ფუთი 1923 წლის ნიშნებით ფრანკო სადგური კრასნოდარში.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

21 აპრილს.

ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია. საქონელზე დიდი მოთხოვნილებაა. განწყობილება ხასიათდება ვალიუტის კურსის სიმტკიცით.

ბირჟის საქონლის განწყობილების მიწოდება.

რ. ს. ფ. ს. რ. ტყავეულის სინდიკატის მიწოდება, შაბიამანი, რკინეული, ზეთი საქიმო მიზნებისათვის, ხორბალი, ცემენტი, სკიპიდარი, ცხვრის ნაწლავები, რკინის ნიჩბები, ყველი შვეიცარიის, სარდინები, ბურღული, გოგირდი, ყუბანის ფქვილი, ცხვრის ტყავი, რუსეთის წუმწუმა, ფანჯრის მინები, ლურსმანი, რუსეთის მანუფაქტურა, რეზინის ტრესტის ფაბრიკატები, ჯაგარი, კაკაო—ზეთი, „ყაზვინის“ ჩაი, ჩაქვის მამულების ჩაი.

ბირჟის მოთხოვნილება.

პირველი ხარისხის ფქვილი, ხორბალი და პურის პროდუქტები. ნედლი ტყავეული, ფანჯრის მინები, ნაწლავები, ტეხნიკური ცხიმი, სოდა კაუსტიკური, ზერთოლეს მარილი პარაფინი, ლურსმანი, რუსეთის წუმწუმა, რუსეთის მანუფაქტურა საპნის სერროდატი, რეზინოტრესტის ფაბრიკატები, სპილენძის შაბიამანი, მატყლი, ბამბა, ნიჩბები რკინის, სამშენებლო მასალები.

შავი ქვის ექსპორტი

საზოგადოება „ჩემოს“ ცნობების თანახმად, 1922 წლის განმავლობაში, გატანილია 165800 ტონა შავი ქვა. (10 279 000 ფუთი), აქედან ჩვეულებრივი მადანი—99.138 ტ. (6.146.534 ფუთი). (59.80 პროც., გარეცხილი—56,963 ტ. (3 531.733) 34 35 პრ. და პეროქსიდი—9.699 ტ (601.370 ფ), 5 85 პროც ყველაზე მეტი გატანილი იყო ივნისში და სექტემბერში. ოქტომბერში. როგორც ვიცით, შემცირდა ექსპორტი. წყალდიდობის გამო ექსპორტი თანდათან იზრდება იანვრიდან—4.884 ტ., სექტემბრამდე—23,864 ტ., ხოლო ნოემბერსა და დეკემბერში წყალდიდობის გამო ექსპორტი არ აღემატებოდა 13,000 ტონას.

გატანილია ჰოლანდიაში 35 84 პროც, (გერმანიისათვის), გერმანიაში—(უშუალოთ)—4.83 პროც., ინგლისში—32.59 პროც., ამერიკაში—7.33 პროც.

1920 წელს მენშევიკების დროს, გატანილი იყო 173 065 ტ. (10.730.031 ფ.). აქედან ინგლისში 54.45 პროც., იტალიაში—15.17 პროც., ჰოლანდიაში—15.68 პროც., ბელგიაში—5.83 პროც., ამერიკაში 6.61 პროც., საფრანგეთში—1.93, და პოლონეთში—0,33 პროც.

„ჩემოს“ ახალი ფირმა.

საზ. „ჩემოს“ წევრთა რიცხვში მიღებულია ა. ზ. მადათოვის კომ-სამრეწველო ფირმა.

მომავალი საზოგადო კრება.

საზ. „ჩემოს“ საზოგადო კრება, 1922 წ. ანგარიშების განსახილველად, გაიმართება ა/წ. 29 აპრილს.

შავი ქვით დატვირთულ გემების მიმოსვლა.

ამ ჟამად ფოთში იტვირთება ერთი დიდი გემი „კუინ ალექსანდრა“—6800 ტ. მადნით.

აპრილის პირველ რიცხვებში დაიტვირთა და გავიდა 7 გემი.

აპრილშივე დაიტვირთება კიდევ 8 გემი.

პროფკავშირებში

ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო კავშირში.

პლენუმი. დღეს, 11 საათზე, დანიშნულია ამ.-კ ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის პლენუმი. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი კითხვები: 1) პრეზიდიუმის ანგარიში, 2) ფოსტა ტელეგრაფის სახ. კომისარის მოხსენება, 3. მოხსენება ურთიერთ—დახმარების კასის შესახებ, 4. კავშირის უმუშევართა სექციის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

კოლექტიური ხელშეკრულება.

12 აპრ. ფოსტა-ტელეგრაფის მუშა მოსამსახურეთა საოლქო კომიტეტმა ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატთან დასდო ახალი კოლექტიური ხელშეკრულება 6 თვის ვადით. ხელშეკრულებაში განაკვეთები განსაზღვრული არ არის. განაკვეთები წესდება. ყოველივე ცალკე შეთანხმებით.

კონფერენციის ჩატარება.

საოლქო კომიტეტმა ჩაატარა სარაიონო კონფერენცია სოხუმში, სადაც ხელახლად არჩეული იქნა სარაიონო კომიტეტი.

საჰაერო ფლოტისათვის.

კომიტეტმა ჩაატარა საჰაერო ფლოტის კომპანია და შეგროვებული 200 მილ. მანეთი დანიშნულებისამებრ გადასცა.

მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღების შესახებ.

ც. კავშირების მდივნების და საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირმა შრომის ბირჟის მუშაობის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ მისაღებად იცნო უმუშევართა პერსონალურად მიღება სამუშაოზე ყოველ კერძო შემთხვევაში კავშირის გამგეობას და შრომის ბირჟის შეთანხმებით.

შრომის დაცვის კომისიები.

საბჭოთა მუშაკების კავშირის გამგეობამ ყველა ადგილკომებს დაუგზავნა ინსტრუქციები ყველა ადგილკომებში შრომის დაცვის კომისიების ორგანიზაციების შესახებ.

ოსტროვსკი და მუსორგსკი

რუსულ თეატრალურ და მუსიკალურ ქვეყნის ორი ბოძი: ოსტროვსკი და მუსორგსკი, მათი დახასიათება. და მათ საპატივცემოდ გამართული იუბილეები თბილისში.

მიმდინარე წელს საბჭოთა რუსეთში და მასთან ერთად მთელი კულტურული კაცობრიობა დღესასწაულობს ორ იუბილეს ორი რუსი მოქალაქის შემოქმედებისას, რომელთა სახელები საუკუნოდ შეტანილია მსოფლიო კულტურის მატიანეში. მე ვამბობ ცნობილ რუს დრამატურგ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ასტროვსკის დაბადებიდან ასი წლის თავზე გამართულ იუბილეზე და ცნობილ კომპოზიტორ მოდესტ პეტრეს ძე მუსორგსკის დაბადებიდან 85 წლის თავის იუბილეზე.

ჩვენმა თეატრებმაც აგრეთვე აღნიშნეს ეს დღეები. რუსულმა აკადემიურმა დრამამ დასდგა ოსტროვსკის ორი კომედია „მღელვარე გული“ „Горячее сердце“ და „მგლები და ცხვრები“.

ოპერის თეატრმა განაახლა დადგმა კომპოზიტ. მუსორსკის გენიალურ ოპერის „ბორის გოდუნოვი“, ამიტომ მე ვფიქრობ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთათვის არ იქნება ინტერესს მოკლებული, რომ ცნობილ იუბილიართა შემოქმედებასა და მოღვაწეობას გავეცნოთ თუნდაც მოკლედ.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ასტროვსკი, ცნობილი დრამატურგი, დაიბადა 1823 წ. 31 მარტს. მისი წინაპრები იყვნენ სასულიერო წოდების და მამა კი მოხელე (чиновник). მამა მისი მოხელეობა და მის ვაჭარ ხალხთან დამოკიდებულებას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა ასტროვსკის მიერ. რუსულ ცხოვრების იმ მხარეების შესწავლის მომზადებაში, რომლებიც შემდეგ გადატანილ იქმნა სცენაზე ასეთ ნათელ ფერადებით. წვრილ მოხელეთა ქვეყანას ვაჭართა ზნეს და მდაბიო ხალხის თავისებურ ენას გაეცნო ასტროვსკი იმ თავითვე ახალგაზრდობაში, მაშინ როდესაც ის ყურს უგდებდა ამ წრეების წარმომადგენელთა სიტყვებს და უკვირდებოდა მათ ჩვეულებებს. აქ იყო თვით ცხოვრება თავისი ნამდვილი სახით და ეს ცხოვრება, ამ მაშინდელ საზოგადოების მრავალრიცხოვან კლასის ურთიერთობა ასტროვსკიმ თავისი ნიჭიერ კალმით გადაიტანა სცენაზე. ეს იყო ახალი სურათი რუსულ ყოველდღიურ ცხოვრების. დიდი სახელი და რეპუტაცია მოუპოვა ნიჭიერ მხატვარს დრამატურგ ოსტროვსკის მისმა ერთ ერთ პირველ კომედიამ „გაკოტრება“ ანუ „Свои люди сочтемся“ სადაც ნათელ ფერადებით მოცემულია რუს ვაჭართა დამახასიათებელი თვისებები, ერთის მეორეზე ძალადობის (ვაჭარი ბოლშოვი), გაუმაძღრობის და უგვნობას მეორეთა (ნოქარი პოდხალიუზინი). ამ პიესამ რუსულ სცენას დაუსახა ახალი პერსპექტივები და ამასთანავე არც ერთ ოსტროვსკის კომედიას არ მიუყენებია მისთვის იმდენი უსიამოვნება, როგორც კომედიამ „გაკოტრება“.

ვაჭრებმა იგრძნეს რა თავისი თავი ამ ახალ კომედიით შეურაცხყოფილად შესჩივლეს ადმინისტრაციას, რომელმაც არამც თუ აკრძალა პიესა დასადგმელად, არამედ თვით ავტორიც როგორც „არაკეთილსაიმედო“ და არსებულ რეჟიმის ძირის გამომთხრელი იქმნა მიცემულ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ცნობილმა კომედიამ ნახა სცენა დაწერის 30 წლის შემდეგ. ამ უსიამოვნებათა შორის, მიუხედავათ მძიმე მატერიალური მდგომარეობისა ოსტროვსკი განაგრძობდა მუშაობას ახალ პიესებზე და რამოდენიმე წლის განმავლობაში თავისი კომედიებით შეუქმნა ახალი პირობები რუსულ სცენას ახალი ეპოქა რუსულ თეატრის ახალი სამოღვაწეო ასპარეზი რუს მსახიობებს.

ასტროვსკიმ თან და თან გააფართოვა თავისი დრამატიული ექსკურსიის არე, არ განსაზღვრა თავისი შემოქმედება ვაჭართა და წვრილ მოხელეთა ყოფა-ცხოვრების დახასიათებით. გამოდის მისი ცნობილი კომედია „ტყე“ სადაც ავტორმა ნათელი ფერებით დაგვიხატა რუსული ცხოვრების სამწუხარო სინამდვილე, „უდანაშაულოდ დასჯილნი“ (без вины виноватые) -სადაც ლაპარაკია ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა უუფლებობის შესახებ, რომლებიც მაშინდელი შეხედულობის გამო „კანონ გარეშეთ“ იყვნენ გამოცხადებული (მსახიობი ნეზნამოვი), გამოდის ისტორიული ქრონიკა იოანე მრისხანის ეპოქიდან, (ვასილისა მელენტის ასული იოანეს მეექვსე ცოლი)—შემდეგი დროის ეპოქიდან (კოზმა მინინი „სუხორუკი“, ცრუ დიმიტრი და სხვა).

მიუხედავათ იმისა, რომ ასტროვსკის პოპულიარობა და სახელი იზრდებოდა თითოეული ახალი კომედიის გამოსვლით, ცნობილი დრამატურგი ძლიერ მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში სცხოვრობდა. ის ითვლებოდა „არაკეთილსაიმედოთ“ და მაშინდელი მთავრობა მას ცუდათ უცქეროდა, ხოლო მისი სიკვდილის წინ, (1886 წ.) როდესაც ასტროვსკის სახელი განთქმული იყო არა თუ რუსეთში, არამედ ევროპაშიაც მისი მატერიალური მდგომარეობა [illegible] და დაინიშნა რა სატახტო ქალაქის დრამატიულ თეატრების მმართველად.

ასტროვსკის მიერ შექმნილი თეატრი შეფასებულ იქმნა სხვადასხვა გვარათ. ერთნი—მომხრეებმა ძველი ცხოვრების, თაყვანისმცემლებმა მამა-პაპათა ჩვეულებისა და წესებისა და ინახეს ასტროვსკში „თავისი კაცი“ დადებითი დამფასებელი ამ წესებისა. მოწინააღმდეგე ბანაკის ხალხმა კი წინააღმდეგ—მასში დაინახეს ძველი ცხოვრების დამრღვეველი, რომელმაც თავისი ნაწარმოებებით გამოაშკარავა უვარგისობა და გახრწნილება ძველი წესების. მაგრამ მკითხველთა ფართო წრეებში, სადაც პროგრესიული შეხედულებებს ჰქონდა, მიუხედავათ ცენზურისა, გაცილებით უფრო ძლიერი გავლენა. ვიდრე შეხედულებებს მოწინააღმდეგე ბანაკისა—ძველი წესების დამცველებს, ასტროვსკი მიაჩნდა ნოვატორათ და პროგრესიული მიმართულების მწერლით. ცნობილ რუს კრიტიკოსს და დობროლიუბოვს ტყუილად კი არ უწოდებია ასტროვსკისათვის, სიბნელით მოცულ სამეფოზე მღაღადებელი (Поэтом о темном царстве).

ასტროვსკი აღიარეს ცხოვრების ბნელი მხარეების დამხატველათ, რაც დამოკიდებული იყო უმთავრესად უცოდინარობაზე, გაუნათლებლობაზე, და პროტესტის უქონლობაზე.

ოსტროვსკი თავის კომედიებში მოუწოდებდა ბრძოლისა და პროტესტისათვის. („მღელვარე გული“).

ოსტროვსკის მიერ ყოფა ცხოვრების შესანიშნავათ დახასიათებით, თავისი მდიდარი ლამაზი ენით შექმნა არა თუ რუსული რეალისტური თეატრი, მან გააკეთა მეტი: მისცა არსებობის საშვალება რუსულ თეატრს, რომლის რეპერტუარი აქნობამდე შესდგებოდა გოგოლის რამოდენიმე კომედიებისაგან და ნათარგმნი ნაწარმოებებით.

კომპოზიტორ მუსორგსკი.

ცნობილი კომპოზიტორი მოდესტ პეტრეს-ძე მუსორგსკი ისეთივე ნოვატორია მუსიკაში, როგორიც იყო დრამატიულ შემოქმედებაში ასტროვსკი. ტყუილად კი არ იყო მუსორგსკის ეპიგრაფი: „ასეთი ნაპირებისაკენ“. („К новым берегам“).

მოდესტ მუსორგსკი დაიბადა 1838 წელს და ჯერ კიდევ ბავშობაში გამოიჩინა საკვირველი მუსიკალური ნიჭი. გენიალურ ბავშვს პირველ დაწყებითი მეცადინეობა მუსიკაში მიმდინარეობდა დედა მისის ხელმძღვანელობით. ჯერ კიდევ ცხრა წლის მოდესტი ასრულებდა ფრანც ლისტის და ფილდის ზოგიერთ ნაწარმოებთ მოხვდა რა პეტერბურგის ერთ-ერთ სამხედრო შკოლაში მუსორგსკიმ იმ წრის ზეგავლენით, რომელშიც ის ტრიალდება მიატოვა მუსიკაში სერიოზული მეცადინეობას თავი და გაერთო ცალიერ ყოველდღიურ ცხოვრებით, მეცადინეობდა რა მუსიკაში სხვათა შორის, როგორც დილეტანტი.

რა თქმა უნდა მისი მუსიკალური ნიჭი არამც თუ მიიღებდა რაიმე სერიოზულ მიმართულებას, არამედ ჩაქრებოდა მასში, რომ მას, საბედნიეროდ, არ შეხვედროდა ცნობილი რუსი კომპოზიტორი დარგომიჟსკი (ავტორი ოპერების: „ალი და Каменный гость“)—ის დარგომიჟსკი რომლის ირგვლივ თავს იყრიდა მთელი რუსეთის მაშინდელი დროის საზოგადოება მუსიკის დამფასებელი რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა მუსორგსკის მუსიკალურ განვითარებაში. ამის გარდა პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, გრიბოედოვის და რილეევის ზეგავლენით მაშინ ნათლდებოდა რუსის საზოგადოება და მუსორგსკის არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო სამხედრო პირთა და მოხელეთა საზოგადოების ვიწრო ინტერესებით, სადაც ის მოხვდა პეტერბურგში ყოფნის დროს. მისი ნიჭი თხოულობდა გაშლას და ის ეძებდა დამოკიდებულებას კულტურის და ხელოვნების ხალხთან. ამ დროს ის ხვდებოდა კომპოზიტორ და სახელოვან პიანისტს ბალაკირევს, რომელნიც იყვნენ დამაარსებელი მუსიკალურ წრის ახალ მუსიკალურ გზების საძებნელად—მუსიკალურ მოღვაწეთა წრის. რომელმაც დაბოლოს ითამაშა უდიდესი როლი რუსული მუსიკის გზაზე დაყენებისთვის.

აი ამ წრის დამაარსებელი იყო ბალაკირიოვი და შიგ შევიდა ბოროდინი (ოპერა „თავადი იგორი“-ს დამწერი), კიუი, რიმსკი-კორსაკოვი და მუსორგსკი. გენიალურ ახალ ამ წრეში ვითარდება კომპოზიტორული ნიჭი მუსორგსკისა—თავის მხატვრულ ქმნილებისათვის მუსორგსკი იღებს მასალას არა თავის თავიდან და თავის წვრილ ნაგრძნობთა სამყაროდან, არამედ მისი ნაწარმოებების მასალას წარმოადგენს თვით ხალხური ცხოვრება, მისი სახეები. ის ილტვის მუსიკაში გამოსახოს ცხოვრების სინამდვილის რეალიზმი. იყო რა დაინტერესებული თავის ქვეყნის ისტორიით—ის ეცნობა დაწვრილებით მეფე ბორის გოდუნოვის ეპოქას და პიროვნებას—ზოგიერთა აზრით ამ ბოროტ გენიოსს რუსეთის ისტორიისას, ტახტის ავანტიურისტს, კანონიერ მემკვიდრის—იოანე მრისხანეს შვილის მკვლელს და მეორეთა აზრით დიდი ჭკუის და ნებისყოფის მქონე კაცს, შორს მჭვრეტელ ადამიანს, რომელიც პროგრესში ხედავდა თავის ქვეყნის გადარჩენას.

1868 წ. მუსორგსკიმ დაიწყო წერა თავის ნაწარმოებთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ოპერის „ბორის გოდუნოვი“-ს დიდი შრომა გასწია კომპოზიტორმა იმ ეპოქის შესასწავლად რასაც ეწოდება „междуцарствие“. როდესაც იოანე მრისხანეს საშინელ სისხლიან ეპოქის შემდეგ რუსეთის ტახტზე ავიდა იოანეს სუსტი ჭკუის მქონე შვილი თეოდორე, მაშინ მთელი სახელმწიფოს საქმე ხელში ეჭირა, ჭკვიანს, მოხერხებულს და შორსმჭვრეტელ ბორის გოდუნოვს, რომელიც იყო მონღოლური [illegible] იმთავითვე გოდუნოვს უნდოდა, როგორც გადმოცემა ამბობს, კანონიერი მემკვიდრის მცირე წლოვან დიმიტრის მოკვლა, და ტახტზე ასვლა, რაც მან მოახერხა ინტრიგების, მაშინ ჯერ კიდევ გაუნათლებელ რუსის ხალხის დაშინებით და „ბაიარების“ მოყიდვის საშვალებით. საიდუმლოება იქნა დაფარული მათ მიერ, ვინაიდან მიიღეს ყოველგვარი ზომები მეფის არჩევნებს მიეღო სახალხო ხასიათი.

ბორისი მეფობდა შვიდ წელიწადს, მაგრამ მისი მეფობა იყო მეტად უბედური. დანამდვილებით არ ვიცით მართლა იყო ბორისი მკვლელობის მეთაური, რადგანაც დღემდე სადავოა დიმიტრი ბავშვობაში იქმნა მოკლული თუ აჯანყებულ ბრბოს მიერ იქმნა ჩაქოლვილი მოსკოვში გამეფების შემდეგ. იმ ისტორიული ცნობებით, რომლითაც ისარგებლა მუსორგსკიმ, ბორისს მთელი შვიდი წლის განმავლობაში სტანჯავდა ფიქრი, რომ ბედი სჯის მას დიმიტრის მოკვლისათვის, ამიტომაც მისი მეფობა არის ასე უბედური. ეს აზრი წითელი ზოლივითაა გავლებული ოპერის შინაარსში. მუსორგსკიმ ოპერაში გაშალა ისტორიული სინამდვილე, როდესაც ცნობილმა რუს ისტორიკოსმა კოსტომაროვმა მოისმინა ოპერა „ბორის გოდუნოვი“ სთქვა: ეს არის ფურცლები ისტორიისა და და ქების მეტი არაფერი ეთქმოდა კომპოზიტორზე. მუსიკალური მხრივ მუსორგსკი წავიდა რევოლიუციონერული გზით, მთელი ოპერის გასწვრივ ხშირად ხვდებით ისეთი ადგილები, სადაც კომპოზიტორი არღვევს ძირითად მუსიკალურ წესებს, რომელიც მიღებულია ყველა კონსერვატორიებში.

კომპოზიტორი ისწრაფოდა სილამაზისკენ, მუსიკალურ სინამდვილისაკენ, რეალიზმისაკენ მუსიკაში და არ ეშინოდა მაშინდელი კრიტიკისა. ნიჭმა თავისი გააკეთა „ბორის გოდუნოვი“ მიღებულ იქნა საზოგადოების და მცოდნე პირთა მიერ დიდის აღფრთოვანებით. პიესას დიდი წარმატება ჰქონდა, რასაც არ უარყოფდენ მუსორსკის სასტიკი მოწინააღმდეგეებიც კი.

ოპერის ტექსტი აღებულია მეორე რუს გენიოს მწერლის—პუშკინისაგან და ყველა ეს რასაკვირველია მეტ სილამაზეს აძლევს ნაწარმოებს. ოპერის ინსტრუმენტოვკა ძლიერი კოლორიტის, ეფექტიანი და ლამაზია ხმით. მეორე დიდი საოპერო ნაწარმოები მუსორგსკისა არის „Хованщина“. ამ ოპერის შესახებ შეიძლებოდა ბევრის დაწერა, მაგრამ უადგილობის გამო მას ეხლა არ შევეხები.

მუსორგსკიმ დასწერა მთელი რიგი საამური მუსიკის ნაწარმოებები—მაგ „საბავშო“—მთელი რიგი სიმღერების და რომანების, რომელთაგან ასე პოპულიარულია „რწყილი“—(Блоха) ეს პოლიტიკური „პამფლეტია“ უკანასკნელ ეპოქებში სასახლისთან დაწესებული ჟანდარმულ წესების შესახებ.

მუსორგსკი მოკვდა თავის ნიჭის გაფურჩქვნის დროს მეგობრებისაგან მიტოვებული—რის შემდეგ როგორც ყოველთვინ ალკოგოლისადმი სიყვარული გადაექცა დაუძლეველ ტანჯვათ, და არც კი შეიძლებოდა მის ნაყოფიერ მუშაობაზე ლაპარაკი—როცა მუსორგსკი მარტო დავიწყებული თაყვანისმცემელთაგან შეუთავდა საავადმყოფოში ავადმყოფობის დროს—კვდებოდა გენიალური კომპოზიტორი. 1881 წ. 16 მარტს მოკვდა მუსორგსკი გულის სიდამბლისაგან ორ უახლოეს მეგობართა მხატვარ რეპინის და კომპოზიტორ რიმსკი კორსაკოვის ხელში.

მუსორგსკის გენია ყოველთვის ცოცხლობს მის ნაწარმოებებში, რომლებიც ჩვენ დროშიც დიდ ყურადღებას იპყრობენ.

მუსიკოსი.

მუშათა ცხოვრება

ამხ. მუშა-კორესპონდენტებს:

გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ 22 აპრილს, დილის ცხრა ნახევარ საათზე გვაქვს გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციის შენობაში (კრუზენშტერნის ქუჩა № 4—მე 3-ე სართული) ჩვენი მორიგი მე-ექვსე კრება.

ყველა ჩვენი თანამშრომელ მუშკორის დასწრება აღნიშნულ კრებაზე სავალდებულოა; თანაგრძნობ მუშების დასწრება სასურველია.

სად. ნავთლუღის მუშებში

12 აპრილს ნავთლუღის მუშათა კლუბში შესდგა ნავთლუღის რკ.-გზის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 300 ზე მეტი მუშა-მოსამსახურე. დღის წესრიგში, სხვათა შორის, იდგა საკითხი: „მენშევიკების პარტიის გახრწნა“.

მომხსენებლად აღნიშნულ საკითხზე გამოვიდა ამხ. ვართაპეტოვი, მან რუსულ ენაზე მოკლედ დაახასიათა მენშევიკების ბანაკის თანდათანობითი დაშლა. მათი იდეური გაკოტრება და პოლიტიკური გახრწნა და სხვა.

შემდეგ ამისა, ამავე საგანზე, ქართულად ილაპარაკა ამხ. ფირალოვმა. მან, სხვათა შორის, აღნიშნა ის რომ მენშევიკურ პარტიის აშმორებული ქაოსი დღითი-დღე იცვლება, იქიდან თავისუფლდებიან ისეთი ამხანაგ მუშები და გლეხები, რომლებიც ბრმა იარაღად ჰყავდა გამოყენებული იმ ვითომც და „მუშათა პარტიას“, რომელიც დიდიხნის დროიდან მოტყუილებით და თვალთმაქცობით სწამლავდა, მუშების გულს და რომლის ერთ-ერთი ბელადი, ევგ. გეგეჭკორი, ერთ მშვენიერ დღეს, ამოუდგა გვერდში ნიკოლოზის შავბნელ ღენერლებს ალექსეევს და სხვ. და წარბ-შეუხრელად ჩასჩურჩულა:

„ჩვენი მახვილი პირდაპირ მიმართულია ბოლშევიკების შუბლისკენ და გვწადია მათი ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა, ამისათვის იმედი გვაქვს თქვენი, რომ დახმარებას აღმოგვიჩენთ ამ საქმეში“. ამხ. ფირალოვის სიტყვა დაფარულ იქნა ხანგრძლივი ტაშით.

ამ მოხსენების შემდეგ, კრების პრეზიდიუმის წინ, მოულოდნელად, გაჩნდა ერთი ძველი მუშათაგანი, ამხ. გელაშვილი და რაღაც ქაღალდები გადასცა პრეზიდიუმის მდივანს, ამხ. ომაროვს. მთელი აუდიტორია ცნობის მოყვარეობამ შეიპყრო და მოუთმენლად ელოდა, თუ რას მოასწავებდა ამ ქაღალდების გადაცემა.—ამხ ომაროვმა მცირე ხნის შემდეგ კრებას აუწყა მათი შინაარსი გამოირკვა, რომ 38 მუშას სასტიკად დაუგმოთ მენშევიკების პარტია და შესაფერისი წერილობითი რეზოლიუციაც გამოეტანათ, რომელიც იქნა კრებაზე წაკითხული და მისმიერ ერთხმად მიღებული და რომელსაც მთელი აუდიტორია ხანგრძლივ ტაშით შეხვდა.

ამის შემდეგ მუშა მოსამსახურენი დიდად აღფრთოვანებულნი დაიშალნენ.

ძირს მოღალატე მენშევიკები!

გაუმარჯოს ჩვენი ინტერესების დამცველს, კომუნისტურ პარტიას.

ინფ. კორ. მუშა ბ—ი.

ეს საჩქაროდ უნდა გამოსწორდეს

(ქ. აღმასკომის და სასურკომის საყურადღებოდ).

ორთაჭალაში არის ერთ-ერთი საუკეთესო წისქვილი, რომლის მსგავსი თითქმის მთელ ამიერ-კავკასიაში (გარდა ბაქოს წისქვილებისა) არ მოიპოვება. აღნიშნული წისქვილი მოწყობილია ყოველ მხრივ საუკეთესო მექანიზმით და პურეულ პროდუქტებსაც იძლევა მაღალ ხარისხისას. მას დღიურად სულ ადვილად შეუძლია ორ ათას (2000) ფუთ ხორბლეულის გადამუშავება. ეს წისქვილი წინეთ სასურკომის გამგებლობაში იყო და შემდეგ კი რაღაც მოსაზრებით ის გასულ წლის 1 ნოემბრიდან გადაეცა ქალაქის აღმასკომს. აღნიშნულ გადაცემას შედეგად მოჰყვა წისქვილის მუშაობის თანდათანობით შემცირება და ბოლო დროს კი მისი სრული შეჩერება. (აგერ ორი თვეა, რაც წისქვილი არ მუშაობს). წისქვილის შეჩერების მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გაუგებრობა, რასაც, სამწუხაროდ აქვს ადგილი სასურკომს და აღმასკომს შორის ხსენებულ წისქვილზე პატრონების შესახებ. ამ უფლებრივი საკითხის გამოურკვევლობის გამო წისქვილი კიდევაც შეჩერდა. ეს უკანასკნელი გარემოება თვით წარმოებას უქადის დიდს საფრთხეს და მუშა-მეწისქვილეებს კი (რიცხვით 45 კაცს) ქუჩაში გარეკვას და ულუკმაპუროთ დარჩენას.

დროა, ამ ფრიად საზარალო მოვლენას მიექცეს ვისგანაც ჯერ არს სერიოზული ყურადღება და იქნას მიღებული სასწრაფო ზომები მოსალოდნელ საფრთხის ასაცილებლად და 45 მუშის უმუშევრობისაგან გადასარჩენად.

კომიაჩეიკის და მუშათა საერთო კრების დადგენილების თანახმად, აღნიშნული წისქვილი უნდა გადასცემოდა ისევე სასურკომს, რომელსაც მისი ასამუშავებლად ხორბალიც და სხვა საშვალებაც საკმაოდ მოეპოვება. საჭიროა, ეს დადგენილება სისრულეში მოყვანილ იქნას სასწრაფოდ, თუ რომელიმე დაწესებულებას არ სწადია ჩვენი, მუშების, გაუბედურება.

სიმართლე.

მეტი ყურადღება მუშათა უბანს.

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

ანტონოვის ქუჩის დასასრულიდან რკინის გზის ლიანდაგის იქით იწყება „ნინოწმინდის“ უბანი (ყოფილი ნადიროვკა) ამ უბანში წვრილ-წვრილ სახლებში (ქოხებში) სულ მუშები სცხოვრობენ. მაგრამ აქ ცხოვრება, როგორც ზოგიერთ ამხანაგ მუშამ გადმომცა, სწორედ ჯოჯოხეთის ტანჯვაა მუშებისათვის, რადგანაც აქ ქუჩების უმეტესი ნაწილი ორმოებით მოუკირწყლავია და საკმარისია ცოტაოდენი წვიმის მოსვლა, რომ მუხლამდინ სარყევი ტალახი ადგეს და ქუჩები თითქმის გაუვალი გახდეს. ამ საშინელ ტალახში უხდებათ მუშებს სიარული. მასთან ღამით საშინელი სიბნელეა გამეფებული, რადგანაც ზოგიერთ ადგილებში ელექტრონის სინათლე სრულიად არ არსებობს და იქაც კი, სადაც ელექტრონის ფარნები არის, ისინი იმისთანა სუსტ და მკრთალ სინათლეს იძლევიან, რომ თუ კარგად ნაჩვევი არ არის აქ მოსიარულე ადამიანი, ის ან ფეხს მოიტეხს და გადიჩეხება სადმე ხრამში თუ დაგუბებულ წუმპეში. როცა მე შევეკითხე ერთს ჩემს ამხანაგს მუშას, თუ რატომ არ მიმართავენ ისინი ქალაქის აღმასკომს საჭირო სინათლის მისაცემად, მან მიპასუხა: „ჩვენ ორჯერ მივმართეთ ქალაქის აღმასკომს, მაგრამ დღემდე არავითარი ყურადღება არ მოუქცევიათ“. საჭიროა ქალაქის აღმასკომმა მიიღოს საჭირო ზომები ამ უბნის მოსაკირწყლავად და გასანათებლად.

ან—ბანი.

ქალაქის ცენტრალური ამბულატორია

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 83 მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „ქალაქის ცენტრალური ამბულატორია“. აქ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელსაც აქვს ადგილი ცენტრალურ ამბულატორიაში, ავადმყოფების მიღების დროს, ბინის სივიწროვის გამო.

ამის შესახებ უნდა აღვნიშნო, რომ პირველი დღიდანვე ჩემი დანიშვნისა, ჩემ მიერ შემჩნეული იყო ეს სივიწროვე და მთელი ჩემი ყურადღება იმ ზე იყო მიქცეული, რომ საექიმო დახმარება თავის სიმაღლეზე დამდგარიყო როგორც უბნებში, ისე ამბულატორიებში საზოგადოთ და კერძოთ კი ცენტრალურ ამბულატორიაში. ეს საკითხი ყველგან მოგვარდა და სასურველადაც მოეწყო მუშა-მოსამსახურების ექიმობა, მაგრამ რაც შეეხება ცენტრალურ ამბულატორიას, ის კი საუბედუროთ ცოტათი ჩამორჩა სხვას. ამის თავისი მიზეზიც აქვს. უმთავრესი მიზეზი ამისა არის ბინის სივიწროვე ის შენობა, რომელშიდაც არის ეხლა მოთავსებული ამბულატორია, ვერ ჰყოფნის იმდენა ხალხს რომლებსაც იქ უხდება ექიმობა.

მე ამის შესახებ არა ერთხელ მივმართე სათანადო დაწესებულებებს, რომ დამხმარებოდნენ ამ საკითხის მოგვარებაზე. მაგრამ დღემდის ვერ მივაღწიე სასურველ მიზანს.

არა ერთხელ ავღნიშნე ეს მდგომარეობა და მოვითხოვდი ამბულატორიის შენობის გაფართოებას, რის შემდეგაც სამუდამოდ მოეღებოდა ბოლო ყოველივე არანორმალურ მდგომარეობას ამბულატორიაში, ავადმყოფების მიღების დროს. მაგრამ ჩემი ძიმარავა ამაოდ რჩებოდა. სრულიად საკმარისია ამბულატორიისთვის, რომ მის განკარგულებაში გადავიდეს ის სამი ოთახი, რომელიც კერძო პირს უჭირავს. ამის შესახებაც ავღნიშნე მე, სადაც ჯერ არს, მაგრამ ვერავისგან ჯერ ჯერობით ვერ მივიღე დამაკმაყოფილებელი დახმარება.

ამ რიგად ჩემმა ღონისძიებამ ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მოყვა. ამბულატორიის შენობა დარჩა პირველ ყოფილ მდგომარეობაში, და, რასაკვირველია, სანამ ასეთი მდგომარეობა იქნება ცენტრალურ ამბულატორიაში, ავადმყოფების მიღებაც ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი. რომ ეს ასე არ ხდებოდეს, საჭიროა მეტი ყურადღება და დახმარება, ვისგანაც ჯერ არს.

მუშების მრავალ ასეთი გამოძახილის შემდეგ, შეიძლება, სათანადო დაწესებულებებმა მაინც მიაქციონ ყურადღება ცენტრალურ ამბულატორიის ბინის საკითხის მოგვარებას და გაგვიწიონ დახმარება.

საქ. ჯან. კომის. სამკურნალო ქვეგანყოფ. გამგე და დაზღვევ კასის პრეზიდიუმის წევრი: **ხუტუნდაშვილი.**

ალექსანდრეს ბაღის მუშების ცხოვრებიდან.

საპასუხო წერილი (იხ. „კომ.“ № 86)

ამ დღეებში გაზეთ „კომუნისტი“-ს № 86-ში მოთავსებული იყო კორ ჩხმლის წერილი ყოფ. ალექსანდრეს ბაღის მუშების ყოფა ცხოვრების შესახებ. აღნიშნულ წერილში ნაჩვენები იყო, რომ ხსენებულ ბაღის მუშები სავსებით კმაყოფილი არიან თავის ეკონომიურ მდგომარეობით,—თავის დროზე მათ ჯამაგირი ეძლევათ და სხვა... ეს ნაწილი ამხ. ჩხმლის ინფორმაციისა შეიცავს სრულ სიმართლეს. ეკონომიური მხრით ჩვენ, აქ მომუშავე მუშებს საერთოდ არა გვიშავს რა მხოლოდ, ჩვენ არ შეგვიძლია აქ არ შევეხოთ ამხ. ჩხმლის ინფორმაციის მეორე ნაწილს, რომელიც ეხება, სამუშაო დროის საკითხს და რაღაც გაუგებრობაზეა აგებული. აღნიშნული კორესპონდენტი აქ ამბობს იმაზე, ვითომდა ჩვენს სამუშაოში ჰქონდეს ადგილი სისტემატიურად ზედმეტ საათების მუშაობას და მისი საფასური კი არ გვეძლეოდეს. ეს ცნობა მხოლოდ ნაწილობრივად შეეფარდება სინამდვილეს და არა სავსებით. ზედმეტ საათობით ალექსანდრეს ბაღის მუშები სისტემატიურად კი არ მუშაობენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა დღესასწაულებში და მათი წინადღეებში, როდესაც მართლა გვიხდება ზედმეტ საათებში მუშაობა ცოცხალ ყვავილებისა, გირლიანდების შეკონვა სახლების დასამშვენებლად, მაგრამ ამისათვის ჩვენ ვღებულობთ დაუყონებლივ ჩვენი შრომის ხელფასს და ჩვენ აღნიშნულ დღეებში მუშაობა წარმოებს პროფკავშირის სანქციის თანახმად და მისივე მეთვალყურეობით. ამიტომ აქ არავითარი შრომის კანონების დარღვევას ადგილი არა აქვს.

ინფ.-კორ. **მუშა-იორდანაშვილი.**

მუშათა ქრონიკა.

შრომის ექსპლოატატორების დასჯა-რიმება.

ამ დღეებში სახალხო სასამართლოს დროებითმა სესიამ გაარჩია შემდეგი საქმეები:

1) **ხიკო გულიანცის**, რომელსაც ბრალი ედებოდა შემდეგში: 15 თებერვალს შრომის ინსპექტორმა სახლის ნომრის დათვალიერების დროს (დილის 5 საათზე) წაასწრო 3 მუშას: ნაზაროვს, პოლოსოვს და ესტენიანცს, რომელთაც გარშემო ეყარათ ახლად გამომცხვარი პური. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებდა იმ ფაქტს, რომ მუშებს მთელი ღამე მუშაობაში გაეტარებინათ, ამიტომ შრომის ინსპექტორმა ამაზე შეადგინა ოქმი და ხიკო გულიანცი შრომის კანონების დარღვევისათვის პასუხისგებაში მისცა. სახალ. სასამართლოს დროებითმა სესიამ ხიკო გულიანცის ბრალდების გარჩევის დროს გამოარკვია, რომ გულიანცი მართლადაც ამუშავებდა მუშებს ღამით და ამით აშკარად არღვევდა შრომის კანონებს. ამისათვის სასამართლომ გულიანცი დამნაშავედ იცნო და დააჯარიმა ასი მანეთით (ოქროთი)

ქრონიკა

შინაგან საქმეთა კომისარიატში.

— **ბრძოლა კონტრ საქონლით ვაჭრობის წინააღმდეგ.** შინაგან საქმეთა კომისარიატმა ყველა მაზრების, ქალაქების და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს დაუგზავნა ცირკულიარი, რათა ხელი შეუწყონ აქციზის ზედამხედველობას კონტრაბანდ საქონლით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში და მილიციის მიერ დაკავებული აქციზ გადაუხდელი საქონელი სათანადო ოქმებით გადაეცეს ადგილობრივ ხელისუფლებას.

— **საჯამგირო თანხების შესახებ.** იმავე კომისარიატმა ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს წინადადება მისცა, რათა ის თანხები, რომელნიც ეგზავნებათ მათ სახალხო განათლების თანამშრომელთა ჯამაგირისათვის, არავითარ შემთხვევაში არ იხარჯებოდეს სხვა საჭიროებაზე.

ქალაქის აღმასკომში

— **მეტეხის ხიდის შეკეთება.** ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ დაადგინა მიიღოს გადაჭრილი ზომები, რომ 20 მაისამდე დამთავრდეს მეტეხის ხიდის შეკეთება.

— **ქუჩების განათება.** ამავე განყოფილებამ წინადადება მისცა ტრამვაის დირექტორს და ელექტრონის სადგურების გამგეს დაჩქარებით წარმოადგინონ ცნობები თუ რომელი ქუჩებია განათებული და რამდენი ენერგია იხარჯება მათ განათებაზე, აგრეთვე გამორკვეული იქნეს რომელი ქუჩები არ არის განათებული.

— **ქუჩების შეკეთება.** კომუნალურ განყოფილებამ წინადადება მისცა ინჟ. დუხანოვს რამდენიმე დღის განმავლობაში წარმოადგინოს ნუსხა შესაკეთებელ ქუჩების და მათთვის საჭირო მასალების რაოდენობის ხარჯთ-აღრიცხვა.

— **თავშესაფარის გახსნა.** ქალაქის აღმასკომის განათლების განყოფილებას კოლეგიამ დაადგინა დაარსოს დეფექტიან ბავშვებისათვის თავშესაფარი, რომლის გახსნა განზრახულია მეხუთე ბავშთა სახლის ყოფილ შენობაში.

განათლების კომისარიატში.

— **სასწავლებლების რაოდენობა საქართველოში.** განათლების კომისარიატის სტატისტიკური განყოფილების ცნობით, საქართველოს რესპუბლიკაში ამ ჟამად არსებობს სხვა და სხვა ტიპის 1611 სასწავლებელი. ამათგან სრულ კომპლექტიანი შრომის სკოლები; 281, არა სრულ კომპლექტიანი—566, თითო კომპლექტიანი შრომის სკოლები—526, პროფესიონალური შრომის სკოლები—31, საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლები—8, საბავშვო ბაღები—36, უნივერსიტეტები—3 ლაბორატორიები—4, კლინიკები 5, ტეხნიკუმები—56, ინსტიტუტები—6, მუშათა ფაკულტეტები—4, კონსერვატორიები—2, მუსიკალური სტუდიები—2, სამეცნიერო დაწესებულებანი 19

— **მოწაფეების და მასწავლებლების რიცხვი.** განათლების სახალხო კომისარიატის სტატისტიკური განყოფილების ცნობით, საქართველოს რესპუბლიკის მოწაფეთა რიცხვი უდრის 187 436, ხოლო მასწავლებელთა—8,924.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— **სამალარიო ყრილობა.** ორშაბათს, 23 აპრილს, დილის 12 საათზე, ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მიერ გახსნილ იქნება სრულიად საქართველოს 1-ლი სამალარიო ყრილობა, ანასტასიევის ქ № 22, ბაქტერიოლოგიურ აუდიტორიაში.

დაზღვევის კასაში.

— **პენსიაზე ჩარიცხვა.** დ. კ. პრეზიდიუმის ორი აპრილის დადგენილების თანახმად, პენსიაზე ჩარიცხულ იქნა 15 კაცი. 11 აპრილის სხდომის დადგენილებით—19 კაცი.

იმავე პრეზიდიუმის დადგენილებით გაზეთებში პერიოდულად გამოქვეყნებული იქნება კასის ექიმების გვარი და სახელი მათი მისამართით, რათა მუშა-მოსამსახურეთ გაუადვილდეს საექიმო დახმარება.

— **ახალი საექიმო პუნქტის გახსნა.** დაზღვეულთა საექიმო ქვეგანყოფილების კასის პრეზიდიუმმა დაავალა მოაწყოს საგარეჯოში საექიმო პუნქტი.

— **დაგვიანებულად შეტანილ ანარიცხების შესახებ.** პრეზიდიუმის დადგენილებით, დაგვიანებით შეტანილ საპროცენტო ანარიცხებს დაემატება განსხვავება ოქროს კურსის მიხედვით

— **საექიმო დახმარების მოწესრიგება.** იმავე პრეზიდიუმის დადგენილებით სტაციონარულ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს დახმარება მიეცემა იმ ექიმის ან საავადმყოფოს ბიულეტენის თანახმად, რომელიც მას მკურნალობს.

გამომცემლობა.

— **საქართველოს სამკურნალო მოამბე.** გამოვიდა პროფ. გ. ღამბარაშვილის და ს ამირაჯიბის რედაქტორობით, ყოველთვიური სამკურნალო სამეცნიერო ორგანო „საქართველოს სამკურნალო მოამბე“ 1-ლი ნომერი. გამოცემა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების. ღირს 50 კაპ. ოქროთი.

— **„კომუნიზმის პრინციპით“** საქართველოს კომუნისტური პარტიის საგამომცემლო სექციამ გამოსცა ფ. ენგელსის წიგნი ქართულ ენაზე „კომუნიზმის პრინციპები“. წიგნს დართული აქვს ედ. ბერნშტეინის წინასიტყვაობა და შენიშვნები და რუსული გამოცემის რედაქტორის გ. ზინოვიევის შენიშვნები.

— **„ქრისტიანობის წარმოშობა“.** გამოვიდა და იყიდება საქ. ახალ. კომკავშირის ცეკას გამოცემა № 5 პროფ ნ. თ. ადაროვის წიგნი „ქრისტიანობის წარმოშობა“ ნაწილი პირველი და მეორე (ა. მალეერის. ლ. ლოლანის, ქაუცკის, კონტინეას, პ. ლორანის და სხვა მიხედვით). წიგნი შეიცავს 192 გვერდს და ღირს 30 კაპ.

კრებები და მოხსენებები

— დღეს, 22 აპრილს ვაჟთა 1-ლ ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46) საღამოს 7 საათზე შესდგება ქართული სამეცნიერო საზოგადოების კრება რომელზედაც პროფ. აკაკი შანიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „დავით აღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმისადმი ბოძებულის სიგელის დასაწყისი სიტყვები“. ზ. ჩიქობავა—„მთიულური ფონეტიკა. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

სხვა და სხვა.

— **ამიერ-კავკასიაში მოდიან ჩეხეთის მუშები.** ქალაქ კრონეგლავში, კლანდის მახლობლად ჩეხო-სლოვაკიაში, დაარსდა სპეციალისტ ტეხნიკოსების და საკვალიფიციო მუშების შრომის არტელი. ამ არტელს მთელის შემადგენლობით განზრახული აქვს ამიერ-კავკასიაში ჩამოსვლა და მოწყობა სამეურნეო იარაღებისა და მეურნეობაში საჭირო საგნების შემკეთებელი სახელოსნოების. არტელის მოეპოვება სახელოსნოების მოსაწყობათ საჭირო თანხა და საშუალებანი. თავის ამოცანის განხორციელებას არტელი ფიქრობს ამ.-კავკასიის მიწათ-მოქმედების კომისარიატთან და კოოპერაციასთან ერთად ან და მიწათმოქმედების კომისარიატის ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ. წინასწარ მოლაპარაკებისათვის თბილისში მიემგზავრება არტელის წევრი გოლემანი, რუს. ს. ს. ფ. რეს- სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელი პრაღაში (სპეციალისტი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების საქმეში).

— **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში მოთავსებული ბიბლიოგრაფია შეეხება არა იმ გამოცემას „კომუნისტური მანიფესტი“-სას, რომელსაც დართული აქვს ამხ. რიაზანოვის კომენტარიები, არამედ მეორე, შემოკლებულ გამოცემას „მანიფესტი“-სას.

ხელოვნება

— **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება ეგ. ნინოშვილის მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან „ქრისტინე“ პ. ირეთელის მიერ გადმოკეთებული.

— **„ამქრის მშვენება“.** სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ვასილ ბარნოვის მოთხრობა „ამქრის მშვენება“.

— **საბავშვო ჟურნალი „ზამთარი“.** განათლების კომ. არსებული სოციალური აღზრდის მთავარ მართველობის სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოვიდა დასურათებული საბავშვო ჟურნალი „ზამთარი“.

— **მსახიობ ქალის ქიქოძე-აბაშიძის ბენეფისი.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართება ახალგაზრდა მსახიობ ქალის ალისა ქიქოძე-აბაშიძის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება პირველად რუსთაველის თეატრის სცენაზე „რომანი“.

— **დამსახურებულ დირიჟორის ივანე ფალიაშვილის ბენეფისი.** სამშაბათს, 24 აპრილს, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება ამავე თეატრის დამსახურებულ დირიჟორის ივანე ფალიაშვილის ბენეფისი—კონცერტი, ცნობილ მუსიკოსების მონაწილეობით.

— **მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ყრილობაზე.** საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირმა გაგზავნა თავის წარმომადგენელი სრულიად რუსეთის ხელოვნების მუშათა მეოთხე ყრილობაზე, რომელიც შესდგება 20 აპრილს.

— **საბავშვო თეატრი.** დღეს, 22 აპრილს „საბავშვო თეატრში“ (წითელ არმიელთა ცენტრ. კლუბი) მეორე საბავშვო წარმოდგენა, რუსულ ენაზე ტუგანოვის რეჟისორობით, წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედიები. დასაწყისი დღის 12 საათზე. ბილეთების ფასი 40 ათასი მან.

საბავშვო თეატრი

შაბათს, 14 აპრილს, განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის მიერ წითელ არმიელთა კლუბში გაიხსნა საბავშვო თეატრი.

საბავშვო თეატრის ისტორია შეიძლება სხვა ქვეყნებში უფრო ხანგრძლივი და მრავალფეროვანი იყვეს, მაგრამ ჩვენში, საქართველოში, მას ამდენი ხანი მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

დღემდის ჩვენში საბავშვო თეატრს თავისი ისტორია არა აქვს. ის მოკლებულია პერიოდულ არსებობას, მას აკლდა მტკიცე ორგანიზაციული ხელი და შესაფერი რეპერტუარი.

ბავშვები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება გონებას, გრძნობის, ნებისყოფის და ჯანმრთელობის განვითარების მხრივ დიდ ყურადღებას აქცევს დღის-დღეობით საგრძნობ მონაპოვარის წინაშე დგანან.

14 აპრილი ჩვენში ბავშთა აღზრდა განვითარების ისტორიაში დიდ ადგილს დაიჭერს, განსაკუთრებით სულიერათ აღზრდის გასაჯანმრთელებლად.

პირველად 14 აპრილს აეხადა ფარდა ბავშთა სურვილს, მისწრაფებას და გონებრივად წარჩინებას

14 აპრილს საბავშვო თეატრის ხელმძღვანელებმა იგრძნეს ბავშვთა ფსიხიკის დიდი გარდატეხა განსაკუთრებით დადგმულ პიესების ტიპების დახასიათებით, რომელთა შესახებ ბავშვები დიდი აღელვებით და ინტერესით მსჯელობდენ.

წარმოდგენა დაიწყო სრულ 12 საათზე ამხანაგ მარიამ ორახელაშვილის წინასიტყვაობით საბავშვო თეატრის მნიშვნელობაზე.

მოკლე სიტყვაში ამხ. მარიამ ორახელაშვილმა დაახასიათა საერთოდ საბავშვო თეატრის მნიშვნელობა ბავშვის სულიერად და გონებრივად განვითარების ისტორიაში.

თუ ამდენი ხანი, აღნიშნა მან შრომის სკოლებში, საბავშვო სახლებსა და ბაღებში ადგილი ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ მეთოდიურ და აკადემიურ განვითარებას, დღეს ეს ახალ ცხოვრების გამომხატველი ახალი საბავშვო თეატრის დაარსების შემდეგ ჩვენში შეიქნება ბავშვის სულიერად გარდატეხის ახალი პირობები.

შრომის სკოლები, საბავშვო სახლები და ბაღები ანვითარებენ ბავშვს გონებრივათ, ფიზიკურად და უმტკიცებენ ნებისყოფას, ხოლო გრძნობის განვითარებისათვის სოციალურ აღზრდაში საჭიროა ცალკე ინსტიტუტი.

ჩვენი უახლოესი მიზანია, რომ ყოველივე შრომის სკოლასთან მოეწყოს საბავშვო თეატრი—ბავშვთა სულიერ განვითარებისათვის, მაგრამ თუ ჯერჯერობით ეს მოუწყობელია და სანამ ყოველ სკოლასთან თეატრი არ დაარსებულა, საჭიროა მოეწყოს ერთი ცენტრალური მთლიანი საბავშვო თეატრი მაინც.

მივაქცევ თქვენ ყურადღებას პატარა ამხანაგებო ამ თეატრს, რათა თქვენ სათანადო სიმპატიით მოეპყრათ თქვენივე დაწესებულებას—შეიყვარეთ ის და იმდენათ მჭიდროთ დაუკავშირდეთ მას, რომ მისი ცხოვრების ყოველდღიური აქტიური მონაწილე გახდეთ.

საჭიროა ყოველი თქვენგანი დაუახლოვდეს ამ თეატრის ხელმძღვანელებს, სალიტერატურო-სამხატვრო სექციას, რომ ამათ უფრო საგრძნობლათ გახდეთ თეატრის მონაწილენი.

საჭიროა, რომ თქვენი მხრივ მეტი სიდინჯე და დისციპლინა გამოიჩინოთ, რათა არც მსახიობებს და არც მაყურებლებს წარმოდგენის დროს ხელი არ შეუშალოთ თვით-ინიციატივის მოედანი დიდი გაქვთ და აბა თქვენ იცით, მომავალში, როგორი მესვეურნი გახდებით თქვენივე საქმის.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სიტყვის შემდეგ დაიდგა პიესა ქართულ ენაზე „ჯადოსანი წკეპლა“, ახალგაზრდა რეჟისორების ალ. ჭაველსიანის და ანთაძის ხელმძღვანელობით, ხოლო რუსულად კი „მეც“, ტუგანოვის რეჟისორობით. ეს პირველი ნაბიჯი პიესების დადგმის, მსახიობების მიერ როლის ჩატარების და ადმინისტრატიულ საორგანიზაციო გეგმის მხრივ დამაკმაყოფილებელია.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის დიდი სიამოვნება, რომელიც არამც თუ თვით მსმენელებმა, პატარა ბავშვებმა, არამედ ხელმძღვანელებმაც განიცადეს მომასწავებელია მომავალში მეტი ნაყოფის, გეგმის გაფართოების და ხშირად ასეთ წარმოდგენების გამართვისა.

სალიტერატურო-სამხატვრო სექციას დიდი სურვილი აქვს ახლო მომავალში შეიმუშაოს საბავშვო თეატრის რეპერტუარი, მოახდინოს მონაწილეთა გადარჩევა, გააბას ქსელი საბავშვო თეატრების არა მარტო თბილისში, არამედ ფართოდ მთელ რესპუბლიკაში და ავტონომიურ ერთეულებშიც, არა მარტო რუსულ და ქართულ ენაზე, არამედ ეროვნულ უმცირესობათა ენებზეც.

ვუსურვოთ წარმატება და აყვავება საბავშვო თეატრს, მის ხელმძღვანელებს კი დაწყებულ საქმის კეთილად დაბოლოება.

დამსწრე

პროვინციაში

ქ. ცაგერი

ა. | . 1-ლ აპრილს შესდგა ქ. ცაგერში მცხოვრებთა საერთო კრება.

კრებას დაესწრენ ადგილობრივი კომკავშირის ორგანიზაცია, ადგილობრივ სკოლების მოწაფენი, პროფკავშირის ორგანიზაცია და გლეხთა ფართო მასა. მიუხედავათ იმისა, რომ კრებაზე მოწვეულ იყვნენ მხოლოდ ქ. ცაგერის და მისი თემის მცხოვრებნი, კრებას დაესწრენ აგრეთვე მრავალ რიცხოვანი გლეხობა ლეჩხუმის მაზრის სხვადასხვა თემებიდან, რადგანაც ეს დღე იყო საერთო უქმე დღე და მასთან გლეხები სხვა თემებიდან იყვნენ მოსული საბაზროთ

კრებაზე დამსწრეთა რიცხვი დაახლოებით აღწევდა ორიათას კაცამდე. დილის 12—საათზე კრება გახსნილათ გამოცხადდა და დღიურ წესრიგის მიხედვით, რელიგიის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ინ სენიძე. მან გამოააშკარავა სარწმუნოების სიყალბე, დაახასიათა, როგორც ხალხის გონების დამაბნელებელი იარაღი. შემდეგ ამისა მოხსენებით გამოვიდენ პროფ-კავშირის სახელით ამხ. დოლბაია, გლეხებიდან ამხანაგები: ლავრენტი ხუცურიანი, ანდრია პრეგვაძე და სამსონ ჩხეტიანი, რომლებიც მდაბიო ენით ესაუბრენ დამსწრე საზოგადოებას ცრუმორწმუნეობაზე, მღვდლების ყოფაქცევაზე და სხვა.

ილაპარაკა აგრეთვე მოწაფეთა წარმომადგენლმა, რომელმაც ხმა მაღლა დაიძახა: „ძირს ცრუ მორწმუნეობა“, „გაუმარჯოს მეცნიერებას“, ასეთივე ხმები გაისმოდა ყოველი მხრივ.

ბოლოს ამხ. ქაბუკიანმა გაკეთა მოხსენება დედამიწის და სხვა პლანეტების გაჩენაზე. ცხოვრების და ადამიანების წარმოშობა-განვითარებაზე და რელიგიის წარმოშობაზე.

შემდეგ ამისა მოხდა რელიგიის საჯარო გასამართლება. არჩეულ იქნა სასამართლო 9—კაცის შემადგენლობით, რომელსაც თავმჯდომარეობდა გლეხი ილარიონ ხაბულიანი.

სასამართლოს წინაშე გამოვიდნენ რელიგიის დამცველათ მოქალაქე ბიძინა ბოჭორიშვილი და ადგილობრივ ეკლესიის მღვდელი ივანე მარგიანი, უკანასკნელმა სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ ავად არის და არ აქვს საშუალება აწარმოოს რელიგიის დაცვა.

დამცველმა ბოჭორიშვილმა სრულიად ვერ დააკმაყოფილა პასუხით შეკითხვებზე დამსწრე საზოგადოება.

სასამართლომ პროცესის შემდეგ სცნო, როგორც ქრისტიანული, აგრეთვე სხვა რელიგია ცრუმორწმუნეობათ და მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ სარწმუნოება არის შეძლებულ კლასების მშრომელი მასის გონებრივათ და ქონებრივათ დამონების საშუალება, დაადგინა: ცაგერის ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესია დაიხუროს და გადაეცეს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს „კარლ-ლიბკნეხტის“ სახელობაზე სახალხო სახლად გადასაკეთებლად.

საზოგადო კრებამ დაადასტურა ხსენებული დადგენილება და აირჩია კომისია, რომელიც შეუდგა ეკლესიის ქონების აღწერას და გადაბარებას.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ეკლესიის თავზე [illegible] ფრიალებდა წითელი დროშა.

ს. [illegible]

მენშევიკების განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხანაგო რედაქტორო! ნება მოგვეცით გამოვაცხადოთ შემდეგი: ჩვენ მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრები ვაცხადებთ, რომ რადგან მენშევიკურმა პარტიამ ვერ გაამართლა იმედები მუშებისა და გლეხების და „სოციალისტური“ ხელით აშენებდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, რათა ის უთანხმდებოდა და უთანხმდება იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და გაურბოდა ამავე შეთანხმებას საბჭოთა რესპუბლიკებთან, იყო მუდამ ამ უკანასკნელთადმი მტრულათ განწყობილი. ყველა ამის შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ მენშევიკებს არ შეუძლიათ იყონ ჭეშმარიტი დამცველი მშრომელი მასის ინტერესებისა. ამიტომ ვსტოვებთ მენშევიკურ პლატფორმას და ვუერთდებით მესამე ინტერნაციონალს. ამასთანავე ვურჩევთ ყველა გულწრფელ სოციალისტებს მოგვბაძონ ჩვენ, რათა განმტკიცდეს მუშურ-გლეხური საბჭოთა მთავრობა.

1. **კანჭარაშვილი** ვასილი იაკობის ძე პარტიის წევრი 1902 წ.
2. **მაისურაძე** ივანე გრიგოლის ძე პარტიის წევრი 1898 წ.

ყოფილი მღვდლის განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ).

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი განცხადება.

მე, სოფელ კადარის მცხოვრის ეკლესიის მღვდელი, ერმალოზ ვასილის ძე თურქია, დავრწმუნდი რა, რომ სარწმუნოება ყოფილა სიცრუე და სიყალბე და იარაღი მუშათა კლასის მორჩილებაში ყოფნისა და მე მას ბრმათ ვემსახურებოდი, ამიტომ დღეის რიცხვიდან ვსტოვებ ამ სამარცხვინო ხელობას—მღვდლობას, ვუბრუნდები პატიოსან მშრომელ გლეხობას და მასთან ერთად მსურს ვიცხოვრო ჩემი პატიოსანი შრომით. იმედი მაქვს მშრომელი გლეხობა მაპატიებს ამ დანაშაულს და მიმიღებს.

მოქალაქე **ერმალოზ თურქია.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქ. კომ. ახალგ. კავშირის ტფილისის კომიტეტი ქვემო აღნიშნულ ამხ—ბს საქ. კომ. ახ. კავშირის ტფილისის ორგანიზაციის წევრებს და კანდიდატებს—პოლონელებს და პოლონურ ენის მცოდნეთ წინადადებას აძლევს გამოცხადდენ კვირას, ა. წ. 22 აპრილს, 11 საათზე დილით პოლონურ მუშათა კლუბში (ნიკოლოზის ქ. სახ. № 59). საქ. კომ. ახალ. კავშირის ტფ. ორგ. წევრებისა და კანდიდატების—პოლონელებისა და პოლონურ ენის მცოდნეთა საორგანიზაციო კრებაზე.

1. ბერმან იულიანი, 2. დავიდოვიჩ სტანისლავი, 3. გინკოვიჩი პეტრე, 4. ლიშინსკი სიგიზმუნდი, 5. ვარდენკო ადოლფი, 6. ვაოდენკო ლიოდვიგ, 7. გენცკოვიჩი ანატოლი, 8. ვისნევსკი სერგო, 9. კრასოვსკი ალექსანდრე, 10 კორეიკო ანტონინა, 11. ზენტაკი ანდრე, 12. რიბაკ იულია, 13. ოგანესოვი კლარა, 14. გოსტრუპნიცკი იან, 15. სივეცკი კაზიმირ, 16. შლეიხერ ერაზმ. 17, კრასნიცკი მიხეილ, 18 აკოვლევა გრიგოლი, 19. შმიდტ ედუარდ, 20 შმიდტ რუდოლფი, 21. ხმელიოვსკი ნიკოლოზი, 22. რადეცკი ბორისი, 23. ტრიშკო რუდოლფი, 24. იურეკ მიხეილი, 25. ბაბტაძე ვასილი, 26, გეჭნერ იან.

გამოცხადება სავალდებულოა პოლონელ „კომ ომოლისტებისთვის“, ვინც ამ სიაში არ შესულა. ვინც არ გამოცხადდება, მიცემული იქნება პასუხისგებაში მიწვეულნი არიან კრებაზე პოლონელები—კომუნისტები და წარმომადგენლები: ამიერ-კავკასიის სარაიონო კომიტეტის რ. ახალ. კომუნ. კავშირის, ცენტრალურ კომიტეტის, ტფილისის კომიტეტის და საქართ. კომპარტიისა და კომ. ახალ. კავშირის მე-2 სარაიონო კომიტეტი.

პროფესიული.

კვირას 22 აპრილს დილის 11 საათზე საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მორიგ კრებაზე (ბარიატინის ქ. 5) წაიკითხება მოხსენება საქართველოს მეაბრეშუმეობის ინსპექტორის ი. ქუთათელაძის შემდეგ საკითხზე.

მეაბრეშუმეობის მდგომარეობა საქართველოში და მისი ნაწარმოების მსოფლიო ბაზარზე გასაღების პირობები.

დასწრება ყველასათვის თავისუფალია.

— კვირას, აპრილის 22-ს. საღამოს 7 ნახევარ საათზე, ვაჟთა პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46) ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგ კრებაზე წაკითხული იქნება მოხსენებები 1. პროფ. ა. შანიძის მიერ: „დავით აღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმისადმი ბოძებული სიგელის დასაწყისი სიტყვები“ და 2 ბენ. ჩიქობავას მიერ: „მთიულური ფონეტიკა“.

დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.

კვირას, 22 აპრილს, დღის 12 საათზე ტფ. პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (ყოფილი დიდიმთავრის ქ., № 70) შესდგება ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება ინჟ ბ. ქიქიძის მიერ შემდეგ თემაზე: „შვეციის სახელმწიფო [illegible] (ჰიდროელექტრონული) სადგურები“.

განცხადებები

რუსთაველის
თეატრი
კრ. 332—1—1

დღეს, 22 აპრილს,
მსახიობ ქალის
ალისა ქიქოძე-აბაშიძის ბენეფისი
„რომანი“
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 336—1—1

დღეს, 22 აპრილს,
ბორის
გოდუნოვი
დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკური მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—11)

სახლი
თავისუფალი ბინით. ვისაც სურს ხელსაყრელ პირობებში შეიძინოს ან გაჰყიდოს, მიმართოს დავიდოვის ქუჩ. № 3, ბინა 2, 11—2 ს. და 5—7 საათამდე. გოლოვინის ქუჩის გვერდით.
(567—1—1)

ჯილდო პოვნისათვის
20 აპრილს, საღამოს 8 ნახ. საათზე, უპატრონო ბავშთა კოლექტორთან (სამხედრო შესახვევი) ლურჯი საწერი წიგნაკის მპოვნელს, სთხოვენ მიიტანოს ის „გრანდ-ოტელში“ შვეიცართან. მპოვნელი მიიღებს ჯილდოს.

თანახმად 68 დეკრეტისა № 28, საქ. რევოლ. კომიტეტის სამართლის განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის
ქ. თბილისის აღმას. კომიტ. მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი ქვე-განყოფილება,
აცხადებს რომ მოქ. ანნა გრიგორის ასული ბრაცლავსკაიამ შემოიტანა განცხადება მისი გვარის ბრაცლავსკაია ანნა პავლეს ასული ბაქრეუკ-შელიქოვაზე შეცვლის შესახებ.
კრ. 566—1—1